On the "Oath of Allegiance" of Catholicos Anton I Preserved in Manuscript H-1334
H-1334-ში დაცული ანტონ კათალიკოსის „საფიცარი აღთქმა"[1]

NINO MEGENEISHVILI
Doctor of Philology, Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts
Tbilisi, Merab Aleksidze str, N1/3, 3093, Georgia
+995 577 955011, ninomegeneishvili@gmail.com
ORCID ID: https://orcid.org/0000-0001-5985-9117

Abstract: The 18th century is a period of notable political complexity and drama in Georgian history. As a small country divided into various kingdoms and principalities, Georgia faced numerous challenges in its search for reliable political allies. During this era, foreign policy orientations were divided between coreligionist Russia and Catholic European states. While the relationship with Russia was grounded in ideological and Orthodox ties, engagement with Catholic Europe—despite certain ideological risks—offered prospects for modern economic and educational standards, as well as greater security guarantees in dealings with neighboring Muslim powers.

These trends are vividly reflected in the Georgian literature and documentation of the period. This research focuses on manuscript **H-1334**, preserved at the Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, which encapsulates the socio-political views of 18th-century figures. The manuscript is rich in content, containing ecclesiastical, civil, political, and theological documents, alongside private correspondence. These records provide profound insight into the worldview and political priorities of the Georgian elite. Notably, the collection includes significant information regarding Catholicos Anton I. To date, this manuscript remains unstudied and unpublished; thus, the primary objective of this paper is to introduce this unknown materials into academic circulation and evaluate its historical significance.

Keywords: Manuscript; Oath of Allegiance; Confession of Faith; Anton I; Bessarion, Catholicos of Imereti.

ნინო მეგენეიშვილი
ფილოლოგიის დოქტორი, კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
თბილისი, მერაბ ალექსიძის 1/3, 3093
საქართველო, +995 577 955011, ninomegeneishvili@gmail.com
ORCID ID: https://orcid.org/0000-0001-5985-9117

აბსტრაქტი: XVIII საუკუნის საქართველოს ისტორია პოლიტიკური დრამატიზმითა და საგარეო ორიენტირების ძიების სირთულით ხასიათდება. სამეფო-სამთავროებად დაყოფილ ქვეყანას არჩევანის გაკეთება უწევდა ერთმორწმუნე რუსეთსა და კათოლიკურ

[1]სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი - ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების პროექტი - „ამბროსი ნეკრესელის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები (H-1334 მიხედვით)". პროექტის ნომერია: YS-25-179.

ევროპას შორის. თუ რუსეთთან კავშირი იდეოლოგიურად მართლმადიდებლურ სარწმუნოებას ეფუძნებოდა, ევროპულ სახელმწიფოებთან ურთიერთობა ეკონომიკური და საგანმანათლებლო სტანდარტების დანერგვისა და უსაფრთხოების დამატებითი გარანტიების მოპოვების მცდელობას წარმოადგენდა.

აღნიშნული ტენდენციები მკაფიოდ აისახა იმდროინდელ მწერლობასა და დოკუმენტურ მასალაში. წინამდებარე კვლევა ეხება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ კრებულს **(H-1334)**, რომელიც XVIII საუკუნის მოღვაწეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებს წარმოაჩენს. ხელნაწერი მდიდარია მრავალფეროვანი მასალით: მასში დაცულია საეკლესიო, სამოქალაქო და თეოლოგიური ხასიათის დოკუმენტები, ასევე კერძო მიმოწერა, რაც საშუალებას იძლევა აღდგეს იმდროინდელი ქართული ელიტის მსოფლმხედველობრივი სურათი. კრებული შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს ანტონ I-ის მოღვაწეობის შესახებაც. ნაშრომის მიზანია ამ აქამდე შეუსწავლელი და გამოუქვეყნებელი წყაროების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა და მისი ისტორიული მნიშვნელობის განსაზღვრა.

საკვანძო სიტყვები: ხელნაწერი, საფიცარი აღქმა, აღსარება სარწმუნოებისა, ანტონ I, ბესარიონ იმერეთის კათალიკოსი.

შესავალი: საქართველოსა და მსოფლიო ისტორიაში XVIII საუკუნე ფაქტების სიუხვითა და მრავალგვარობით გამოირჩევა. ეს არის ახალი პოლიტიკური პლატფორმების არჩევისა და გარკვევის ფაზა, ფორმაციული და ეკონომოკური ცვლილებების ეპოქა. მსოფლიოს პოლიტიკურ სივრცეში ჩნდებიან ახალი სუბიექტები და გავლენიანი სახელმწიფოები. სამეფო-სამთავროებად დაყოფილი პატარა ქვეყანა, საქართველო, სტრატეგიული მოკავშირის ძიებაში უამრავ გაუგებრობასა და სიძნელეს აწყდებოდა: რუსეთი აქტუალურია ორთოდოქსული კონტექსტის გათვალისწინებით, ევროპა - სამომავლო ეკონომიკური პროგრესისა და უსაფრთხოების გარანტიით. ეს ტენდენცია აისახა ქართულ მწერლობაშიც. კ. კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ხელნაწერი H-1334, დათარიღებული XVIII ს-ით, რომელიც საინტერესო ისტორიულ ცნობებს შეიცავს აღნიშნულ პერიოდზე.

ხელნაწერი მდიდარია შინაარსობრივად. წარმოადგენს სამოქალაქო, პოლიტიკური, თეოლოგიური ხასიათის ჩანაწერებსა და სხვადასხვა პირთა კერძო ხასიათის მიმოწერას, ბარათებსა და ჩანაწერებს. ხელნაწერში დაცულია ამბროსი ნეკრესელის, ვახტანგ VI-ის, ერეკლე II-ის, გიორგი XII-ის, მზეჭაბუკ ორბელიანისა და სხვათა წერილები და საბუთების პირები. მათ შორის შეიცავს ცნობებს ანტონ I-ის შესახებ.

კვლევის მეთოდები: ნაშრომში გამოყენებულია ემპირიული, მიზეზ-შედეგობრივი, სისტემური, ისტორიულ-შედარებითი და ტექსტოლოგიური ანალიზი. შევეცადეთ, სტატია გაგვემდიდრებინა წყაროებში დაცული ცნობებით, რათა ანტონ კათალიკოსის „საფიცარი აღთქმის“ შესახებ მსჯელობა ნაკლებად სუბიექტური და უფრო ობიექტური ყოფილიყო.

შედეგები და მსჯელობა:, XVIII საუკუნე საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი რთული და გარდამტეხი პერიოდია. მას გასული საუკუნეებიდან წილად ხვდა მძიმე პოლიტიკური მემკვიდრეობა. ამას ემატებოდა მსოფლიოში მიმდინარე რთული პოლიტიკური, ეკონომიკური, ფორმაციული ცვლილებები, დაპირისპირებები დიდ და გავლენიან სახელმწიფოებს შორის ჰეგემონობისთვის, რაც აისახებოდა ქართულ

რეალობაზეც. საქართველოს უნდა აერჩია სტრატეგიული მოკავშირე, რომელიც სამომავლოდ ქვეყნის გადარჩენისა და შემდგომი განვითარების ერთგვარი გარანტი იქნებოდა. ერთი შეხედვით, პატარა სახელმწიფო, საქართველო, გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით დიდი პოლიტიკური პროცესების ნაწილი იყო, ამიტომაც საკუთარი გავლენების გასაძლიერებლად საქართველოში აქტიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა იდეოლოგიათა ფართო პოპულარიზაცია და პროპაგანდა, მათ შორის დასავლეთის ეკლესიის, კათოლიციზმის, რაც აისახებოდა ქართული ელიტური საზოგადოების პოლიტიკურ გემოვნებასა და მსოფლმხედველობაზე. ეს კი იწვევდა როგორც ქაოსს მოსახლეობის ცნობიერებაში, ასევე, ნაწილის აზრით, ქართულ, ავტონომიურ, ავთენტურ, ტრადიციულ ღირებულებებს გადაგვარების საფრთხეს უქმნიდა. სწორედ ეს იყო ელიტურ ნაწილში აზრთა სხვადასხვაობის ერთ-ერთი მიზეზი. აქედან გამომდინარე საინტერესოა ამ პერიოდში მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეების ცხოვრება და საქმიანობა.

H-1334 შეიცავს საინტერესო ინფორმაციას ანტონ კათალიკოსის შესახებ, კერძოდ, მასში დაცულია ანტონის „საფიცარი აღქთმა“ დადებული რუსეთის იმპერატორ ელისაბედ პეტროვნასა და რუსეთის სინოდის წინაშე. ანტონ I კათალიკოსი XVIII საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწე, მოაზროვნე, განმანათლებელი, ფილოსოფოსი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწეა, რომელმაც შექმნა ახალი ეპოქა ქართულ სამწერლობო ისტორიაში ცნობილი ე.წ. ანტონისეული რედაქციის სახით. ის იყო აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსი 1744-1755-სა და 1763-1788 წლებში. მას საკათოლიკოსო ტახტის დაკავება ორჯერ სხვადასხვა მეფის, მამა-შვილის - თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მეფობისას მოუწია. ანტონ I იმ მოღვაწეთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლის პოლიტიკური შეხედულებები მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი იყო, ამიტომ გარკვეული გავლენაც ექნებოდა საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირებაში.

„საფიცარი აღთქმა“ 1757 წლის 12 მარტით თარიღდება, დაწერილია მოსკოვში. არის აღსარება, სინანული საიმპერატორო კარისა და რუსეთის სინოდის წინაშე. ეს ის პერიოდია, როცა საქართველო, მართალია, არ არის ერთიანი სახელმწიფო, მაგრამ არც ვასალია რუსეთი საიმპერატორო კარის და „გეორგიევსკის ტრაქტატამდეც“ საკმაოდ დიდი დროა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩნდება კითხვები: მაშ, რამ აიძულა ანტონი რუსეთის საერო და სასულიერო ელიტასთან ემართლებინა თავი და ერთგულების ფიცი დაედო? რა წინაპირობა ჰქონდა აღნიშნულ „აღსარებას“? მართლაც მიიღო თუ არა ანტონმა კათოლიკობა?

როგორც აღვნიშნეთ, ანტონ I-ის ეკლესიის მწყემსმთავრობა დაემთხვა რთულ ეპოქას. ეს არ ეხება მხოლოდ იმპერიებისა და გავლენიანი სახელმწიფოების ჭიდილსა და გეოპოლიტიკურ ინტერესებს, ეს არის ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურების ცვლილების ახალი ერა. სწორედ განათლების, მეცნიერების, კულტურის, თანამედროვე ეკონომიკური სტანდარტების დამკიდრებაში ხედავდა ანტონ I საქართველოს გადარჩენას. ეს კი, მისი აზრით, დასავლურ სამყაროსთან სიახლოვეს, პარტნიორობას უნდა მოჰყოლოდა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ხელნაწერი S-251 [ბაუმეისტერი, ფრიდერიკოს-ხრისტიანოს, ფილოსოფიური თხზულებანი], დათარიღებული 1762 წლით, თარგმნილი ანტონის მიერ, რასაც ადასტურებს მინაწერი ხელნაწერზე: *„ქართულსა ენასა ზედა გარდამოღებით შრომილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა, დავითიან-ბაგრატოვანისა, დროსა ყოვლად უბრწყინვალესისა და უპყრობელესისა დიდსა ჴელმწიფისა იმპერატრიცა ეკატირინა ალექსეევნასა, თჳთ მპყრობელისა ყოვლისა როსსიისასა და მემკვიდრისა მისისა კეთილმორწმუნისა ჴელმწიფისა ცესარევიჩისა და დიდისა მთავრისა პავლე*

პეტროვიჩისასა“[2], ხელნაწერში ანტონ აღნიშნავს: *„სათანადო არს, რათა ვმეცადინეობდეთ სწავლად, რომლითაცა ვპოებთ სიბრძნესა*“[3]. ანტონმა კათალიკოსის რანგში აღსაყდრებისთანავე დაიწყო საგანმანათლებლო სისტემის გამოცოცხლება, ხელს უწყობდა კულტურულ-საგანმანათლებლო კერებისა [კალიგრაფიული სკოლები, ბიბლიოთეკები] და ხელოვნების სხვა დარგის [მხატვრობა, საერო პოეზია, თეატრი] შექმნასა და განვითარებას. ერეკლე II-ის დახმარებით შეეცადა ეპარქიული სასწავლებლები სახელმწიფო ტიპის სკოლებად გადაეკეთებინა. სემინარიები გახსნა თბილისსა და თელავში, სავარაუდოდ, რუსული წესდებისა და პროგრამების მიხედვით, რადგან მაშინ, სამწუხაროდ, საქართველოში თითქმის არ არსებობდა საჭირო სახელმძღვანელო. ახლად დაარსებულ სემინარიაში ასწავლიენ არ მხოლოდ საღვთისმეტყველო საგნებს, არამედ მათემატიკას, ფიზიკას, გრამატიკას, ისტორიას, ფილოსოფიას. ერეკლე II-თან ერთად შეიმუშავა თბილისში, გორსა და თელავში საერო ტიპის უმაღლესი სასწავლებლის დაარსების პროექტი. დაიწყო წიგნების თარგმნა და ახლის შედგენა. ეპოქაში, როცა დაიწყო საგანმანათლებლო-სამეცნიერო ინსტიტუციების საეკლესიო სივრციდან გასვლა და ახალი სტანდარტით ჩამოყალიბება, სასურველი იყო საქართველოც ამ გზას გაჰყოლოდა, ეს კი სწორედ ევროპულ სტრუქტურებთან კომუნიკაციას უნდა მოჰყოლოდა. ერთი შეხედვით, თითქოს სხვაა კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო კავშირები და სხვა - პოლიტიკური ურთიერთობა. ამას არ უნდა მოჰყოლოდა აგრესია საზოგადოების მხრიდან, მაგრამ ვიცით, ევროპელ მისიონერთა პირველი მასობრივი შემოსვლას საქართველოში სწორედ საგანმანათლებლო და ჰუმანიტარული ფუნქცია ჰქონდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მისიონერთა სამოღვაწეო მასშტაბები და მიზნები შეიცვალა.

ქართულ-დასავლურ ურთიერთობას დიდი ისტორია ჰქონდა. 1453 წლიდან კოსტანტინეპოლის დაცემით დასრულდა ბიზანტიის კულტურული გავლენა ქრისტიანულ, განსაკუთრებით მართლმადიდებლურ სამყაროზე, თუმცა ბიზანტიური გავლენების დემონტაჟი ბევრად ადრე იყო შესამჩნევი, როცა დაიწყო იმპერიული ძლიერების რყევა. საქართველოს კი ესაჭიროებოდა ძლიერი, გავლენიანი პოლიტიკური თანამოაზრე. XIII საუკუნიდან გაცხოველდა არა მხოლოდ დასავლეთის დაინტერესება ამიერკავკასიით და მათ შორის, საქართველოთი, არამედ ქართული მმართველი ელიტის ინტერესიც დასავლეთის ქვეყნების მიმართ. გახშირდა მისიონერების [დომინიკეანელი, ფრანცისკანელი, თეატინელი, კაპუცინი] ვიზიტები საქართველოში. ეს იყო კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების ერთიანობა. ევროპელი მისიონერები, მოგზაურები ან ადგილზე, საქართველოში, სწავლობდნენ ქართულს, ან უკვე ქართული ენის ცოდნით ჩამოდიოდნენ. კათოლიკე მისიონრები და პატრები დავალებისამებრ სწავლობდნენ არა მარტო ენას, არამედ ადგილობრივ კულტურას, ხასიათს. მათი ერთ-ერთი უმთავრესი მისია ევროპული კულტურისა და ღირებულებების პროპაგანდა იყო, ამიტომაც რომში შეიქმნა „პროპაგანდა კოლეგია“, როგორც სასწავლო კორპუსი, სადაც იგზავნებოდნენ მათთვის სასურველი ახალგაზრდა ქართველები, რომლებიც სწავლების დასრულების შემდგომ ბრუნდებოდნენ სამშობლოში კათოლიციზმის პროპაგანდის მიზნით (ანტონ თუმანიშვილი, დავით ტულუკაშვილი და სხვ.), რათა კიდევ უფრო გაზრდილიყო ნდობა ახალი იდეოლოგიის მიმართ ადგილობრივ მოსახლეობაში.

[2] S-251, გვ. 03
[3] იქვე, გვ.018

დაიწყო კათოლიკური შინაარსის ლიტერატურის შექმნა – ბეჭდური და ხელნაწერი წიგნების სახით.[4] ქართულ ხელნაწერთა ფონდში ინახება ასეულობით ერთეული პაპისტური შინაარსის ლიტურგიკული, ბიბლიოლოგიური, საზოგადოდ, თეოლოგიური შინაარსის ლიტერატურა[5]. შედეგმაც არ დააყოვნა, XVII საუკუნე კათოლიციზმის ზეობის ხანა იყო საქართველოში. არსებული პოლიტიკური კრიზისი მისი პროგრესირების ნაყოფიერ საფუძველს იძლეოდა. ამას ემატებოდა ევროპული კაპიტალის შემოდინება მისიონერული მოღვაწეობის გასაძლიერებლად. აღსანიშნავია ერთი ფაქტიც, მოსახლეობაში განსაკუთრებულ სიმპათიას იწვევდა კათოლიკე მისიონერების დამოკიდებულება ტყვეთა სყიდვაზე.[6] კათოლიკე მისიონერებს თავი გამოუჩენიათ 1684 წლის ზაფხულში, როდესაც თბილისი და გორი შვიდთვიანმა ჭირიანობამ მოიცვა, რის შედეგადაც უამრავი ადამიანი ან გარდაიცვალა, ან გაიხიზნა უსაფრთხო ადგილებში, მათ შორის წარჩინებული საერო და სასულიერო პირებიც, კაპუჩინი მამები ქალაქში (გორში) დარჩნენ. ცხადია, ეს მოსახლეობას არ გამოჰპარვია და მათ მიმართ კეთილგანწყობამაც იმატა. გიორგი XI-საც[7] დიდი პატივი მიუგია თავდადებული კათოლიკე მამებისთვის. როგორც ცნობილია, მოგვიანებით მეფე, როგორც კათოლიკე შეუერთდა კიდეც რომის ეკლესიის სამწყსოს. ფაქტია, ქვეყნის ელიტური ნაწილი ერთგვარი გზამკვლევია საზოგადოების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისას, ამიტომ ახალი იდეოლოგიის მიმდევრები ყოველთვის ცდილობდნენ, თანამოაზრეები გავლენიან წრეებში ჰყოლოდათ.

---

[4] ამ მიზნით ნიკიფორე ჩოლოყაშვილის დახმარებით 1629 წელს რომში დაიბეჭდა ქართულ-იტალიური ანბანი, გრამატიკის სახელმძღვანელო და ლექსიკონი. მათ ასევე უნდა შეექმნათ ქართულ ენაზე პაპისტური ლიტერატურა. მიზანი იყო კათოლიკე მრევლის გაძლიერება და ახალი ნაკადის მომრავლება. ასე მაგალითად, ბერნანდე ნეაპოლელმა იტალიურიდან თარგმნა და 1681 წელს რომში დაიბეჭდა „კატეხიზმო“, ჩაიწერა 12 ქართული ზღაპარი - მელიქიძე ს. „ბერნარდო ნეაპოლელის ჩაწერილი ქართული ზღაპრები“ [კრებული „ონომასტიკური ძიებანი“, I, 2009:80-83,]; ამავე პერიოდში საქართველოში მოღვაწე პატრმა ქრისტეფორემ ქართულ ენაზე დაწერა „სიტურფე საღმრთო სიყუარულისა“ და „განზრახვა ქრისტეს ვნებისათჳს“, ლათინურიდან ითარგმნა „მხურვალებისათჳს სარწმუნოებისა“, დავით ტულუკაშვილმა 1733 წელს თარგმნა და 1741 რომში დაიბეჭდა „საქრისტიანო მოძღურება გინა წურთნა შვიდთა საიდუმლოთა ზედა“, 1734 წელს მასვე უთარგმნია თომა კემფელის „მიბაძვა ქრისტესი“ [ხეც Q-541,], XVIII საუკუნეში ქართულად ითარგმნა „სარწმუნოების აღსარება“, იოანე ორბელიანმა თარგმნა „კლიტენი მხურვალებისანი“.

[5] მისსალი [ხეც Q-505, ცენტრ. არქივი-609], ტიბიკონი [ხეც Q-507, Q-538], ლოცვანი [ხეც: S-518, H-727, Q-512, Q-522, Q-531, Q-532, Q-534, Q-535, Q-537, Q-540, Q-705; K-605, K-614, K-615, K-616; გსიემ[5]-37, ცენტრ. არქივი-605, ცენტრ. არქივი-606, სჯიემ-107], გალობანი [ხეც: Q-517, Q-519, Q-523, Q-530; სჯიემ-120], სადღესასწაულო [ხეც: Q-520, Q-526, Q-549, ცენტრ. არქივი-603, ცენტრ. არქივი-604], წირვის წესი [ხეც: S-5153, Q-705; K-688; გსიემ-88], სახარება [K-600 (დიდედას სახარება), გსიემ-86], საკითხავები ბიბლიიდან [ხეც: Q-527], ჰომილეტიკური კრებული [K-657], კატეხიზმო [ხეც: S-4983; K-687], კონდაკი [ხეც: H-30; ცენტრ. არქივი-680], ქადაგებანი [სჯიემ-193] და სხვა.

[6] ჟოზეფო ჯუდიჩე წერდა: *„ჩვენი ქადაგება, განსაკუთრებით ტყვის სყიდვის წინააღმდეგ, იმდენად კარგად იქნა მიღებული მთელ საქართველოში, რომ წელს, სულთნისათვის ყმაწვილების გაგზავნის დრო როცა დადგა, ჩვენი სახლი თავშესაფარი გახდა მათივე მშობლების მიერ გამოგზავნილი და გამოქცეული ყმაწვილებისათვის, რათა მფარველობა გაგვეწია მათთვის, ვინაიდან მათ იციან, რომ ჩვენ დიდ პატივს გვცემენ მთავარი და ამ ქვეყნის დიდებულნი. ჩვენ ყველას მიღებასა და დაცვაზე დავთანხმდით, მოვიმარაგეთ რა სურსათი რამდენიმე დღისთვის“* [პაპაშვილი, 1995:184].

[7] ქართლის მეფე 1676-1688, 1703-1709 წლებში, ვახტანგ V-ის ძე. გიორგი XI ცდილობდა სამეფო ხელისუფლების განმტკიცებასა და ირანული ექსპანსიის დასრულებას. მან დახმარების მიზნით 1687 წლის 29 აპრილს წერილი გაუგზავნა რომის პაპს ინოკენტი XI-ს, სადაც თავს კათოლიკედ აცხადებს. პაპს მისთვის დახმარება არ აღმოუჩენია, მაგრამ საპასუხო წერილში გიორგი XI-ს კათოლიკედ მოიხსენიებს.

მათი ერთ-ერთი მისია თუ ვალდებულება იყო კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება საქართველოში.

მიხეილ თამარაშვილი აღნიშნავდა: *„ჩვენი აზრით ეს საუკუნე (იგულისმება XVII ს.) უნდა შეირაცხოს კათოლიკობისათვის ერთ საუკეთესო ხანად, რადგან, როგორც ვნახეთ, პაპის ყურადღების მიქცევა და მისიონერების შრომა უნაყოფოდ არ დარჩა. საქართველოს ყველა კუთხეში კათოლიკობას ქართველებმა მტრობა კი არ დაუწყეს აღმოსავლეთის სხვა ერთა მსგავსად, არამედ დიდი თანაგრძნობა აღმოუჩინეს".*[8]

ეს ტენდენცია შეუმჩნეველი არ დარჩენილა საქართველოში. როგორც ჩანს, მოიმატა უკმაყოფილო ხალხის რიცხვმა გავლენიან წრეებში. მართალია, ხშირ შემთხვევაში ხაზს უსვამდნენ, რომ ქართულ-დასავლური ურთიერთობის გაღრმავების საფუძველი პოლიტიკური კრიზისის დაძლევა და მუსლიმური გავლენების [ოსმალეთისა და სპარსეთის] აღკვეთა იყო. ამის მიუხედავად, საზოგადოებაში გაჩნდა ერთგავრი შიში, ეროვნული ცნობიერების რყევისა. XVIII საუკუნეში დამოკიდებულება დასავლური იდეოლოგიის მიმართ მკვეთრად შეიცვალა. განსხვავებულად აფასებს მ. თამარაშვილი XVIII საუკუნის ქართულ-დასავლურ ურთიერთობას: *„ეს საუკუნე საზოგადოდ დიდად განსხვავდება გავლილის საუკუნისაგან, როგორც პოლიტიკურის ისე სარწმუნოებრივის მხრით. ესრეთვე დიდი განსხვავება ეტყობა ამ ორ საუკუნეს საქართველოში კათოლიკობის გავრცელების საქმესაც.ამ დროს აქ აღარ ვხედავთ ისეთსავე წარმატებას, როგორიც წინეთ იყო, ვეღარც იმ მომზადებას ვხედავთ ქართველი ერისას და მის მიდრეკილება რომის ეკლესიისადმი, როგორიც აქამდე ვნახეთ".*[9]

სწორედ იდეოლოგიური ბრძოლისა თუ პოლიტიკურ-დიპლომატიური მანიპულაციის მსხვერპლი აღმოჩნდა ანტონ I. მის დაახლოებას კათოლიკე მისიონერებთან მკვლევრები სხვადასხვაგვარად ხსნიან. ზოგისთვის ეს არა მსოფლმხედველობის, რწმენის ცვლილება იყო, არამედ გააზრებული ნაბიჯი, პოლიტიკური ხარკი გაღებული ცივილურ სამყაროსთან დაახლოებისთვის. ამის გასააზრებლად და საანალიზოდ მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაქციოთ ანტონის ბიოგრაფიაში რამდენიმე დეტალს. კერძოდ, ანტონ კათალიკოსი, ერობაში თეიმურაზ ბაგრატიონი, 1720 წლის 17 ოქტომბერს [სხვა მოსაზრებით 11 ნოემბერს] დაიბადა. ის ბაგრატიონთა დინასტიას ეკუთვნოდა დედისა და მამის მხრიდან. ანტონი იყო ვახტან VI-ის ძმის იესესა და ერეკლე I-ის ასულის ელენეს ვაჟი. ეს ის იესეა, რომელიც თავის ძმას ტახტს ეცილებოდა და ამისთვის უცხო ქვეყნის, სპარსეთის, გამოყენებასაც არ დარიდებია. მართალია, ანტონს მამისგან მკვეთრად განსხვავებული მსოფლმხედველობა და შეხედულება ჰქონდა სამომავლო სტატუსსა და ნათესავ სამეფო ოჯახზე, პირადი ტრაგედიის[10] შემდეგ უარიც კი განაცხადა სამეფო ტახტსა და საერო ცხოვრებაზე, გარეჯის მონასტერში ბერად აღიკვეცა, მაგრამ სამეფო კარისთვის ის ტახტის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად და კანონიერ მემკვიდრედ მაინც მოიაზრებოდა და, როგორც ჩანს, მამის დანატოვარი „მემკვიდრეობა" ნათესავ სამეფო ოჯახში უნდობლობის მიზეზი იყო. საქართველოს ისტორიაში ცნობილია ფაქტი, როცა ბერად შემდგარი დემეტრე I შვილის, დავით V-ის გარდაცვალების შემდგომ, 1256 წელს, კვლავ გამეფდა.

1744 წელს, კათალიკოს ნიკოლოზ ხერხეულიძის მკვლელობის შემდეგ, 24 წლის ასაკში ანტონი კათალიკოსის ტახტს იკავებს. XVIII საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული მოაზროვნე, განმანათლებელი, ფილოსოფოსი, ენციკლოპედიური ცოდნის მოღვაწე აქტიურად ეწეოდა საგანმანათლებო-სამეცნიერო საქმიანობას. რა თქმა უნდა, მან კიდევ

[8] მ.თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 297

[9] მ.თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, 297

[10] ცნობილია, რომ 1735 წელს თბილისში ლაშქრობისას ნადირ-შაჰმა მისი საცოლე, გიორგი ამილახვრის ასული, გაიტაცა.

უფრო გააცხოველა შემეცნებითი საქმიანობა კათალიკოსის სტატუსით და დატოვა მდიდარი მემკვიდრეობა. ს. ავალიანი მოსაზრებით, ანტონის შემოქმედება, როგორც ეპოქალური მოვლენა, უტოლდებოდა იოანე პეტრიწის ღვაწლს. პლ. იოსელიანი 1853 წელს გამოცემულ წყობილსიტყვაობის შესავალში აღწერს რა ანტონ კათალიკოსის მოღვაწეობას, აღნიშნავს: *„აღწერილნი და გარდამოღებულნი მის მიერ რუსულით წიგნნი არიან, გარდა ამა წყობილ-სიტყჳებისა. შემდგომნი: 1) მიწყალეს ანუ 50 სინანულისა ფსალმუნისა თარგმანი. ნაწილი ამა წიგნის იყო წარდგენილი რუსეთისა სინოდში მეფეთა მოძღურისა ზაქარიასაგან და იპოება დღესცა მუნ არხივში [1768 წლის საქმეთა №292]. წიგნმან ამან დაბადა მრავალი შფოთი ქართჳლთა შორის და იყო მიზეზ მღუდელობიდამ განჰკჳთისა და შეჩჳნებისა უბედუისა მის ზაქარია გაბა-შჳლისა. 2) კატეხისმო მართლ-მადიდებელისა სარწმუნოებისა. 3) მზა-მეტყჳლება, რომლითაცა არლჳვს ჰსწავლათა და დოღმატთა სომხისა და ლათინთა ეკკლესიათა. 4) ლუთის-მეტყჳლება ოთხ ნაწილედი. 5) პროლოგი ოთხთა თთჳსთა, ნაცჳლად დაკარგულისა, ქმნილისა იოანე პეტრიწისაგან [ის, წიგნისა ამის §731]. 6) წიგნი „აღსაარებისა“. 7) სპეკალი. 8) კლემაქსი ლექსად. 9) მარტირიკა 19 ქართჳლთა წმინდათა და მასთანავე მოწამეობა წმინდისა გრიგორი, სომეხთა განმანათლებელისა. 10) ქადაგებანი მრავალნი. 11) ღრამმატიკა, სომხურიდამ შედგენილი მიხიტარისა ღრამმატიკის წესით. 12) ღრამმატიკა, სხჳთა საკუთარითა სისტემითა შედგენილი. 13) ხიმეტნე ანუ მოკლე, ყრმათათჳს შედგენილი, ღრამმატიკა. 14) რიტორება მიხითარისა, სომხურიდამ გარდმორებული. 15) განმარტება არისტოტელისა კატიღორიათა. 16) ფილოსოფია ბაუმეისტრისა, რუსულიდან თარგმნილი. 17) ფიზიკა ვოლფიოსისა. 18) მოკლე ისტორია საქართჳლოჲსა. 19) განმარტება ეპისტოლისა რომაელთა მიმართ. 20) ისტორია ეფესოს კრებისა. 21) კლდე სარწმუნოებისა, სტეფანე იავორსკისა. ესე დაიბეჭდა მოსკოვს 1760 წელსა. 22) კჳნტოს-კურციოსისა ისტორია ალექსადრე დიდისა მაკედონელისა. 23) დასდებელნი საგალობელნი პატივად მრავალთა ქართჳლთა ეკკლესიისა წმინდანთა [ესენი დაიბეჭდნენ სადღესასწაულოში და ჰგალობს დღესაცა მათ ეკკლესია ქართჳლთა].*

ამან კათოლიკოსმან ანტონი დაჰსდუა დიდი ღუაწლი ეკკლესიისა განბრწყინჳბასა, რაოდენი ძალ-იდებოდა საქართჳლოჲსა ქჳყანისა ოხრებისა დროთა ლეკთაგან; იმეცადინა საეკკლესიოთა წიგნთა დაბეჭდუა; განთესა ჰსწავლა და ჰსწავლისა წიგნნი და განჰფინა ნათელი მეცნიერებისა, მწერლობისა და მწიგნობრისა.“[11]

დასახელებული ფრაგმენტით ირკვევა, რამდენად ნაყოფიერი იყო ანტონის სამეცნიერო მოღვაწეობა. ჩამოთვლილი თხზულებებიდან ნაწილი არ არის ანტონის შექმნილი ორიგინალური ნაწარმოები, ნათარგმნია. მათ შორის საინტერესოა „სპეკალი“, რომელშიც განხილულია ჰერაკლიტეს, პარმენიდეს, არისტოტელეს, პლატონის, სოკრატეს, პორფირის, ამონიოსის, ასევე „ეკლესიის ფილოსოფოსთა“ - გრიგოლ ნოსელის, იოანე დამსაკელისა და სხვათა შეხედულებები. „სპეკალში“ ანტონი კათოლიკური ეკლესიის დიდ აპოლოგეტებს ალბერტ ბოლშტედტელს, იგივე ალბერტ დიდსა და მის შეგირდს, თომა აქვინელს ეყრდნობოდა. ამის გამო ანტონს თავის მართლებაც კი მოუწია, რომ ეს გამიზნულად კი არ გააკეთა, არამედ აღწერა ის, რაც, როგორც ფილოსოფიის უცოდინარმა, ლათინ ფილოსოფოსთაგან მოისმინა. ეს დეტალი საყურადღებოა იმითაც, რომ „სპეკალის“ მხოლოდ ერთი ნუსხაა [A-1743][12] შემორჩენილი, ისიც ანტონის ავტოგრაფი არ არის. შესაძლოა რელიგიურ ნიადაგზე ატეხილი ჭიდილის გამო მან გაანადგურა კიდეც ხელნაწერის დედანი. ცნობილია, ის ერიდებოდა სპეკალის ხშირ ხსენებას, რათა მისი ოპონენტების ყურადღების ქვეშ არ მოქცეულიყო. მის მიმართ ინტერესი იმდენად შორს

[11] პლ. იოსელიანი, წყობილსიტყვაობა, 1853, გვ. XIII-XIV

[12] აღწერილობის მიხედვით, ხელნაწერი გადაწერილია თბილისში, 1752 წელს „ჯვრის საყდრის“ დეკანოზ იოანე ოსეს ძის მიერ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტ. V, გვ.209

წასულა, რომ ანტონი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ მან ქართული ენის გარდა სხვა ენა არ იცოდა. „მზამეტყველების“ შესავალში ის წერს: *„შემეწეოდა მე ფილიპე სომეხთა გვარისაგავი თარგმანებითა სომეხთა წერილთთ, ხოლო ლათინთა წერილთა თარგმანებასა ზედა - იოანე ვინმე ხეცეს მონაზონი ლათინთაგანი, რამეთუ ქართულისა ენისა კიდე სხუაჲ ენაჲ არა უწყოდი ენაჲ“.*[13] მოგვიანებით, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, ანტონმა „სპეკალის“ პირველ განყოფილება რედაქტირებული სახით გამოიყენა სხვა თხზულებაში „კატეღორია სიმენტეჲ და სჯილი მისგან“.

ანტონის ურთიერთობა კათოლიკე მისიონერებთან შეუმჩნეველი არ დარჩენილა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თეიმურაზ II-ის კარის მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი და ნინოწმინდელი ეპისკოპოსი საბა. ზაქარია, როგორც სამეფო კარის მოძღვარი, საკმაოდ გავლენიანი პირი იყო სამეფო კარზე. ის გამოირჩეოდა ქართული ორთოდოქსული იდეოლოგიის დაცვით და უკიდურესად ნეგატიურად იყო განწყობილი ნებისმიერი სიახლის მიმართ, რომელიც დასავლეთის ეკლესიას უკავშირდებოდა, ამიტომაც ანტონის ურთიერთობა სამეფო კართან ნელ-ნელა იძაბებოდა. საბოლოო განხეთქილებისა და მისი ექსორიობის მიზეზი, როგორც არაერთი მკვლევარი აღნიშნავს, გახდა ანტონის „გაკათოლიკება“.

ჩნება კითხვა, ანტონმა მართლაც გულწრფელად აღიარა კათოლიციზმი, თუ ეს ერთგვარი ხარკი იყო საქართველოსთვის ესოდენ რთულ ვითარებაში? მას მიაწერენ, რომ ცნო ფლორენციის კრების განჩინება და წმ. ბასილის ორდენს შეუერთდა, როგორც სულხან-საბა ორბელიანი. ანუ მოკლე მონაკვეთში საქართველოში ორმა, საოცარი ინტელექტის რეფორმატორმა მოაზროვნემ, სულხან-საბა ორბელიანმა და ანტონ კათალიკოსმა ერთი და იგივე „შეცდომა“ დაუშვა. განაჩენი ორივე შემთხვევაში მკაცრი იყო, ღვაწლმოსილი სულხან-საბა ორბელიანი, გადმოცემის მიხედვით, ტაძრის ეზოში წვერებით ითრიეს, ანტონი კი საეკლესიო კრების განჩინებით კათოლიკოსობიდან გადააყენეს და რუსეთში გააძევეს. ანტონ კათალიკოსს აუცილებლად ეცოდინებოდა საზოგადოების, საერო და სასულიერო პირთა დამოკიდებულება სულხან-საბა ორბელიანის მიმართ. ისიც, რომ თავდადებული მოღვაწის ევროპაში გამგზავრების მიზეზი სწორედ საქართველოში არსებული უკიდურესად მძიმე კრიზისული მდგომარეობა იყო და სულხან-საბა ორბელიანს შესაძლოა არჩევანის საშუალებაც კი არ ჰქონდა და მისი გადაწყვეტილება გარდაუვალი აუცილებლობის შედეგი იყო. საზოგადოება მაინც შეუვალი აღმოჩნდა მის მიმართ. ჰქონდა თუ არა ანტონს წარსული გამოცდილების საფუძველზე გააზრებული ეკლესიისა და სამეფო კარის განწყობა და მოსალოდნელი შედეგები ევროპელ მისიონერებთან ურთიერთობისას?! მკვლევართა მოსაზრებით, სამეფო კართან დაპირისპირების მიზეზი სხვადასხვაგვარი იყო: შური ზემოთ ნახსენები ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო, და, რაც მთავარია, სამეფო კარის შიში თუ სიფრთხილე ტახტის პრეტენდენტის მიმართ. ერთ-ერთი ვერსიით კრების ჩატარების მიზეზი აღმოჩნდა ანტონის სულიერი შვილი, ვინმე თავადის ქალი, რომლის შესახებ წყაროებში ინფორმაცია დაცული არ არის. გადმოცემით მეფე თეიმურაზის ქალიშვილი შესწრებია ფაქტს, როცა თავადის ქალი მძიმე ავადმყოფობის დროს კათოლიკურ ლოცვებს კითხულობდა. მ. პაპაშვილის მოსაზრებით სამეფო კარისა და ანტონ კათალიკოსის დაპირისპირების მთავარი მიზეზი პოლიტიკური მოტივი, ანტიდასავლური განწყობა უნდა ყოფილიყო: *„ქართლის მეფე თეიმურაზ II ანტიკათოლიკური განწყობილებისა იყო. ამით ისარგებლეს საქართველოში პროირანულმა ძალებმა, ანტონ კათალიკოსის პირადმა მტრებმა, კათოლიკეთა მოწინააღმდეგე სომხებმა, კოსტანტინეპოლის*

[13] მზამეტყველება, 1892, 4-5

მართლმადიდებელთა პატრიარქმა და მათ თეიმურაზი წააქეზეს უპირატესად ანტონ კათალიკოსისა და კაპუჩინდა წინააღმდეგ სამოქმედოდ".[14]

1755 წლის 16 დეკემბერს გაიმართა საეკლესია კრება, რომელსაც ანტონი არ დასწრებია. სხვა მოსაზრებით კი, არ დაასწრეს, რათა სიტყვა არ მიეცათ მისი გამორჩეული განსწავლულების გამო, თუმცა თავად ანტონ კათოლიკოსი ამას ითხოვდა. სავარაუდოდ, ანტონი ხვდებოდა ბიძამისის, მეფე თეიმურაზის სიფრთხილეს ტახტთან დაკავშირებით და მათი დაპირისპირების მიზეზად სწორედ ეს მიაჩნდა, რასაც ის ადასტურებს რუსეთის იმპერატორ ელისაბედ პეტროვნასადმი გაგზავნილ წერილში:[15] „Всепресветлейшей державнейшей великой государыне императрице Елисавет Петровне, самодержице всероссийской государыне всемилостивейшей.

---

[14] მ.პაპაშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX ს.ს., 1995, გვ. 268

[15] წერილი მოტანილია , ქავთრიას წიგნიდან „XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან", 1977, გვ. 258-259; თარგმანი ჩემია [ნ.მ.]: „ყოვლადბრწყინვალე, ყოვლადძლიერ დიდ სახელმწიფო დედოფალს, იმპერატრიცა ელისავეტა პეტროვნას, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელ, ყოვლადმოწყალე მბრძანებელს. საქართველოდან ახლად ჩამოსული მდაბალი ანტონისგან, კახეთის, ქართლისა და ალვანიის კათოლიკოსისა და მთელი მორწმუნე ივერიისა. **მოხსენება:** როგორც თქვენი იმპერატორული უდიდებულესობისთვის უცხო არ არის, უცხო ტომთა მხრიდან ჩვენს მემკვიდრეობაში ჩვენი ცოდვების გამო დიდი არეულობა, უწესრიგობა და შფოთი ხდება. და თუმცა ამის გამო ღმერთისგან ჩემთვის მინდობილი სამწყსოს მიტოვება არ იყო ჯეროვანი, მაინც, როდესაც თავადებს ვმოძღვრავდი, ცოდვებისგან განდგომისკენ მოვუწოდებდი და განსაკუთრებით ვასწავლიდი, რომ უსამართლობას ჩამოშორებოდნენ, მათ ამის მოთმენა არ ისურვეს და მოისურვეს სრულიად ჩამომეშორებინათ ჩემი ტახტიდან. თუმცა, უსაფუძვლოდ სასურველს ვერ მიაღწიეს და ბოლოს დამადანაშაულეს და მიბრძანეს, სადაც მსურდა იქ წავსულიყავი. ამჟამად საქართველოში მმართველნი არ არიან ჩვენი ტახტის მემკვიდრეები (სქოლიოში ჩამატება: როგორც ადრე ახსნილშიც ნათლად არის აღნიშნული, ჩემი მამის მხრიდან, ჩემი ძმის შესახებაც ცნობილია, რომ ამჟამინდელი საქართველოს მმართველნი იმ ტახტის მემკვიდრეები არ არიან; ის ტახტი ეკუთვნის მამაჩემის გვარს, ახლო ნათესაობის ხაზით). საქართველო ეკუთვნის ჩემს პაპას და მემკვიდრეობით ჩემს გვარს. მართალია, მე ბერი ვიყავი, მაგრამ არა ისეთი, რომელიც მუდამ მონასტერში ცხოვრობს. ამიტომაც ყველა თავადნი და პატივცემული ადამიანები, რომლებიც ჩემი ბიძისა და მამის მიერ იყვნენ აღზრდილნი, როცა შეურაცხყოფილნი იყვნენ, ჩემთან მოდიოდნენ და მე მათ ყოველთვის ვანუგეშებდი, რაც ჩემს წოდებასაც შეეფერებოდა. ეს მეფემ ვერ აიტანა და ჩემი ტახტიდან ჩამოშორება რომ მოესურვებინა, მიზეზი მოიგონა, დამცინა და უსამართლოდ დამადანაშაულა. ამის შედეგად მე გავთავისუფლდი ჩემი წოდებიდან და წავედი იქ, სადაც ჭეშმარიტებაა — რწმენითა და საქმით დიდებულ რუსეთის იმპერიაში — და ახლა თქვენს იმპერატორულ უდიდებულესობას, მართლმადიდებელ მონარქს, მივმართავ მფარველობისათვის, როგორც სხვა ტანჯულნიც მიმართავენ. როცა აქ მოვემგზავრებოდი, მეფისგან მივიღე ნებართვა თავისუფალი გადაადგილების შესახებ, ასევე ჩემი ტიტულის დამადასტურებელი საბუთი. ამასთან ერთად, ვურთავ ორ მსოფლიო პატრიარქის მიერ გაცემულ ორიგინალ ბერძნულ წერილებსაც, რომლებიც ადასტურებს ჩვენს ტიტულირებას. და რათა თქვენი იმპერატორული უდიდებულესობის უმაღლესი ნებით მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ჩემი მიღების შესახებ, როგორც უცხოელი და არეულობიდან და შფოთიდან წამოსული ადამიანის, და ასევე მომენიჭოს საცხოვრებელი ადგილი, ვევედრები თქვენს უდიდებულესობას განიხილოს ეს საქმე. ამ ყველაფერში ვეყრდნობი თქვენი იმპერატორული უდიდებულესობის დედობრივ მოწყალებასა და მფარველობას უცხოელთა მიმართ, რათა მეც, როგორც სხვა მოსულნი თქვენს იმპერიაში, არ დავრჩე უმაღლესი მონარქიული წყალობის გარეშე. წარსადგენია სახელმწიფო საგარეო საქმეთა კოლეგიაში 1757 წლის 17 მარტს. ორიგინალ მოხსენებაზე კათოლიკოსის მიერ ქართული ხელმოწერაც არის დართული."

От новоприезжаго из Грузии смиреннаго Антония, католикоса Кахетийскаго, Картелийскаго и Алванийскаго и всея верлния Иверии.

Доношение

Как небезизвестно Вашему императорскому величеству, что от иноплеменников бывают великия смятения, нестроение и волнения за грехи наши в наследин нашем, и хотя б для сего врученное мне от бога стадо и оставить не надлежало; однакож, когда наставлял князей к обращению от грехов, а паче вразумлял, дабы они от неправды отлучались, того снесть не хотели и затем пожелали меня вовсе от престола моего отлучить. Но токмо желаемаго без притчины получить не могли, и за тем меня обвинили и выговорили, чтобы я ехал куды похочю.

Ныне ж царствующие в Грузии не наследники (სქოლიოში მიუთითებს: „А как и по прежным об'яснением означенного по отще, брата моего довольно известно, что ныне царствующия в Грузии тамонияго престола ненаследники. А принадлежат тог престол фамилии отца моего по линии ближним). престола нашего, а Грузия принадлежит деду моему и в наследство фамилни моей, хотя же я и монах был, но токмо не такой, которой бы жил всегда в монастыре, и за тем все князья и почтенные люди, кон воспитаны от дяди и отца моего, когда они обидимы бывали, ко мне прибегали, и я их всегда утешал, к чему и звание мое там дозволяло.

Чего царь вытерпеть и снесть не возмогщи и пожелав меня от престола моего отлучить, восприял к тому причину и оклеветав, обвинил меня играсно, чем я от звания моего стая быть и свободен и поехал к истине, где она ныне находится, то есть верою и самым делом во всеславной Российской империи, и прибегаю ныне к покрову Вашего императорскаго величества православной менархине, как и протчие страждущие прибегают.

А когда я ехал сюда, то получил от царя о свободном моем проезде грамату, також во свидетельство титулования моего, как мы титулуемся, прилагаю при сем от двух вселенских патриархов оригинальныя греческия граматы ж.

И дабы высочайшим Вашего императорскаго величества соизволением повелено было о принятии меня, яко странного и выезжаго от таких нестроениев и смятениев и о определении мне для жилья моего принадлежащаго учинить всевысочайшее Вашего императорскаго величества разсмотрение.

И во всем том полагаю на матернюю Вашего императорскаго величества к странным милость и протекцию, чтобы я, так же как и протчия выезжия в империя Вашего императорскаго величества высочайшею высокомонаршескою милостию ползуются, оставлен не был.

К поданию надлежит в Государственную коллегию иностранных дел марта 17 дня 1757 году. У подлиннаго доношения приложена католикосом рука погрузински.“

საეკლესიო კრების განჩინებით[16] ანტონი არა მხოლოდ გადააყენეს კათალიკოსობიდან, არამედ აუკრძალეს მღვდელმსახურება. ანტონი ფაქტობრივად

[16] „**განჩინება**:კათალიკოზს ანტონის ზედა — დამხობად, განდევნად და წირვისაგან დაყენებად და კუალად შენდობა და მიტევება და რუსეთს გაგზავნა მისი. წელსა განხორციელებიდგან სიტყვისა ღვთისა 1755 წ. თვესა დეკენბერსა 16. ჩვენ მეფემან ქართველთამან თეიმურაზ და ძემან ჩუენმან

იძულებული გახდა დანაშაული ეღიარებინა, შეწყალება მოეთხოვა. ახალი საეკლესიო კრების განჩინებით კი, ანტონი თავისი თხოვნის საფუძველზე რუსეთში გააგზავნეს და მღვდელმსახურების უფლება აღუდგინეს.

ანტონ კათალიკოსის განწყობის შეფასებისას საყურადღებოა ერთი მნიშვნელოვანი დეტალი მისი შემოქმედებიდან. 1750-1752 წლებში მან დაწერა ვრცელი დოგმატურ-პოლემიკური შინაარსის თხზულება „მზამეტყველება“. „მზამეტყველების“ მე-3 თავში გამოყოფილია მე-17 ნაწილი - *„ლათინთა მიმართ, რომელ არიან პაპისტნი, წინაგანწყობაჲ, თუ რაჲსათჳს ერთი სასუმელისაგან საღმრთოჲსა არა მისცემენ უკვდავსა სისხლსა სიტყჳსა განჰორციელებულისასა“*. როგორც ცნობილია, ანტონმა, კათოლიციზმის მიღებისას ორი მთავარი დოგმა აღიარა: სული წმიდის მამისაგან და ძისაგან გამომავლობა ე.წ. „filioque“ და რომის ეკლესიის თავის - პაპის პრიმატობა. ეს ის დოგმებია, რომელზე მსჯელობასაც ქართულ მწერლობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და გიორგი მთაწმიდელსაც კი უკავშირდება. კერძოდ, ქართულ წერილობით ძეგლებში შემორჩენილია ათანასე

მეფემან კახთამან ერეკლემ და ორთავე ამის სამეფოსა ეპისკოპოზთა მოგივლინენით არხიმანდრიტნი ორნი შენ — ანტონის კათალიკოზსა ჩვენსა, გამოკითხვად, თუ რომლისა სარწმუნოებისა ხარ. ამისათვის, რომელ გვესმოდა და ჭეშმარიტება იყო ლათინთა სარწმუნოებისა მიმართ მიდრეკა შენი და იღწვიდიცა შეწონებად მათდა იდუმალ ერისა. მაშინ მოვლინებულთა ჩუენ მიერ არხიმანდრიტთა არღარა დაუფარე და საანჯმნოდ აღიარე წვალება ლათინთა და საუწყებლად ჩვენდა გამოუცხადე; და ვითარცა ესე ვსცანით, მყის დაგამხევით საყდრისაგან შენისა და შენთანა ერთხმანი სამღვდელონი დავსაჯენით და ერისკაცნი უზიარებელ ვჰყვენით. ხოლო შემდგომად რაოდენთამე დღეთა მოეგე გონებასა ცნობად ჭეშმარიტება სარწმუნოებისა და იწყე გოდება და ტირილი და შევრდომა და თხოვა შენდობისა და უარ ჰყავ ბოროტი ცთომილება შენი და განჰმე სიდრკუე და სარწმუნოება ლათინთა, რომელიცა შეგეწყნარა და აღთქმითა და ფიცითა და შეჩვენებითა დაგვაჯერენ არღარა მიდრეკად გმოა მიმართ ლათინთასა. ამას ზედა ვითარ შვენოდა პირველსა მახლობელობასა და ჩვენ მიერ სიყვარულსა შენსა, ფრიად საყვარელი ჩვენდა იქმენ, გარნა საყდარსავე აღსლვა შენი ცხოვრებასა შინა შენსა არღარა იქმნებოდა, ორთავე მეფეთა კრებასა ფიცით ესრეთ დაგვემტკიცა. ხოლო განგიწესეთ კანონად დაცადება შეწირვისაგან უსისხლოისა მსხვერპლისა თთვეთა ათვრამეტთა და მემრეღა შეწირვად სამღვდელოისა ლიტურღიისა, ესოდენი თვენი დაგეყენეს. განდრეკილებასა შინა ლათინთა მიმართსა და კუალად შემდგომად თთვეთა სამთა განცხადნა ფრიადი სინანული შენი და ყოვლითურთ უცხო ყოფა წვალებისაგან პაპის მოსავთა ლათინთასა და სრულიად აღმოსავლეთის ეკკლესიის სარწმუნოება იპოვებოდა შენთანა, თვინიერ ყოვლისა იჭვისა. და ფრიად წადიერ იქმენ ყოვლითურთ კეთილმსახურსა და ყოვლითურთ მართლმადიდებელსა იმპერიასა რუსეთისასა წარსვლად, რომელიდა უმეტეს გულსავსე გვყოფდა მართლმადიდებლობასა შენსა. ამას ზედა მოველთავე ერთობით მეფეთა და კრებამან შევამოკლეთ კანონნი, რომელნიცა განგვეწესნეს, რათა ღირს იქმნე უსისხლოსა მსხვერპლსა შეწირვად ყოვლად წმიდასა საუფლოსა დღესა აღვსებისასა, რომელსა დღესა აღსდგა უფალი ჩვენი იესო ქრისტე, და ესრეთ პატივითა მღვდელმთავრობისათა წარგზავნეს და ღირს არს შეწყნარება შენი მართლმადიდებლად და სადაცა მიხვიდე დაუყოვნებლად ხელყოფად საღმრთოსა ლიტურღიისა ყოვლისა სამღვდელმთავროისა მოქმედებისა, ვითარცა მღვდელთმთავარი. აქავე აღგისრულებიეს საღმრთო ჟამის წირვა სამთავროსა ჩვენსა და მშვიდობით წარხველ. ხოლო სამღვდელონი კაცნი, რომელნიცა შენთანა ერთხმა იყვნეს ლათინთა ცთომასა ზედა, მათცა განმართნეს მიდრეკილებანი თვისნი და შენთანვე აღიარეს მართლმადიდებლობა და მათცა შეუნდევით მღვდელობად და მსახურებად საღმრთოსა საიდუმლოსა დღესა საუფლოსა აღდგომისასა.“ [კარბელაშვილი პოლიევქტოს, იერარქია საქართველოს ეკლესიისა კათალიკოსნი და მღვდელ-მთავარნი, შედგენილი პ. კარბელაშვილის მიერ, ტფ. 1900. გვ. 154-155].

ალექსანდრიელის „სიმბოლოს“ გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანი[17], რომელშიც თითქოსდა დაფიქსირებული უნდა იყოს საკამათო დოგმა - სულიწმიდის გამოსვლა ***მამისა და ძისაგან.***[18] ათანასე ალექსანდრიელის „სიმბოლო“ შეისწავლა და გამოსცა ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, რომელიც აღნიშნავს: *„დიდი მთაწმიდელი მოძღვრის ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ იგი, როგორც სარწმუნოების სიწმიდისა და უბიწოების დამცველი გერი, არაერთხელ გამოსულა სხვადასხვა მწვალებლობის განმაქიქებელი სიტყვით და მრავალი დოგმატური თხზულებაც უთარგმნია. მაგრამ, ზოგიერთი თანამედროვე საეკლესიო მოღვაწისგან განსხვავებით, რომის ეკლესიის აღმსარებლობის ჭეშმარიტებაში ეჭვი არასოდეს შეუტანია; პირიქით, ისტორიულად წმინდა და მწვალებლობისაგან დაცულ სულიერ ოაზისად წარმოედგინა იგი. მაშასადამე, ის დოგმატური კამათი, რაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის იყო აღძრული, გიორგი მთაწმიდელს უსაფუძვლოდ მიაჩნდა, და ამით ეკლესიის ერთიანობის დამცველად გამოდიოდა“.*[19] შესაძლოა, გიორგი მთაწმინდელმა დაინახა პოლიტიკური თამაშობანი თუ „დიდი პოლიტიკის“ გავლენა საეკლესიო ცხოვრებაში, ის საეკლესიო განხეთქილების მიზეზში სწორედ საერო ძალაუფალთა ინტრიგას ხედავდა. ფაქტია, გიორგი მთაწმიდელის დიდი ავტორიტეტის მიუხედავად, აღნიშნული თხზულების ამ მუხლის ფრაზა „და ძისა“, ამავე სტატიის მიხედვით, XVIII-XIX საუკენეებში წაუშლიათ, ხოლო მზეჭაბუკ ორბელიანს, ანტიკათოლიკური მოსაზრებით, ამ თხზულების ახალი რედაქცია გამოუმუშავებია,[20] რაც ხაზს უსვამს ქართული საზოგადოების დამოკიდებულებას ამ პრობლემისადმი XVIII საუკუნეში.[21] ანტონ კათალიკოსი „მზამეტყველებაში“ ეკლესიის გაყოფაზე სინანულს ვერ ფარავს და აღნიშნავს, რომ ეკლესია გაუყოფელ ერთობას ეწოდა და ორ სხვადასხვა მოცემულობას: *„ვაჲმე!ვაჲმე! განიყვნეს ეკკლესიანი სძალნი ქალწულნი, შვენიერნი მნათობნი აღმოსავალისა და დასავალისა ცის კიდეთანი, რომელსა ერთ სამე ეწოდებოდა ეკკლესიაჲ, და არა ორ“.*[22] XVIII საუკუნე საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი რთული იდეოლოგიური და პოლიტიკური გამოცდის პერიოდი იყო. იქნებ ანტონის პოზიციაც დიდ სახელმწიფოებთან ურთიერთობისას სწორედ ე.წ. ოქროს შუალედის მოძებნა და რბილი,

---

[17] A-584 ამ ხელნაწერში დაცულია „სიმბოლოს“ გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანი. ტექსტი მოღწეულია სხვა ხელნაწერებითაც: Ier-151 (43v-47v), A-65 (167r-v), A-67 (48r-v), S-269 (43v-45v) და სხვა.

[18] *„17. ეგრეთვე სამთა ღმერთთა და სამთა უფალთ თქუმად არა თავს ვიდებთ, არამედ სრულიად განვიშორებთ. 18. რამეთუ მამაჲ არავისგან არს შექმნილ, არცა დაბადებულ, არცა შობილ. 19. ძჱ მამისაგან მხოლოჲსა არს; არა შექმნით, არცა დაბადებით, არამედ შობით. 20. სული წმიდაჲ - **მამისაგან და ძისა;** არა შექმნით, არცა დაბადებით, არცა შობით, არამედ გამოსვლით. 21. ერთი უკუე არს მამაჲ, არა სამნი მამანი; ერთი ძჱ, არა სამნი ძენი; ერთი სული წმიდაჲ, არა სამნი სული წმიდანი“*[18] [მრავალთავი, XVIII, 1999:156-157]. მოგვყავს ძველბერძნული ტექსტი: „17. Ἄλλη γάρ ἐστιν ἡ ὑπόστασις τοῦ Πατρός, ἄλλη τοῦ Υἱοῦ, ἄλλη τοῦ ἁγίου Πνεύματος. 18. Ἀλλὰ Πατρός, καὶ Υἱοῦ, καὶ ἁγίου Πνεύματος, μία ἐστὶν ἡ θεότης, μία ἐστὶν ἡ δόξα, συναΐδιος ἡ μεγαλειότης. 19. Οἷος ὁ Πατήρ, τοιοῦτος ὁ Υἱός, τοιοῦτον τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον. 20. **Ἄκτιστος ὁ Πατήρ, ἄκτιστος ὁ Υἱός, ἄκτιστον καὶ τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον**. Ἀκατάληπτος ὁ Πατήρ, ἀκατάληπτος ὁ Υἱός, ἀκατάληπτον καὶ τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον. 21. Αἰώνιος ὁ Πατήρ, αἰώνιος ὁ Υἱός, αἰώνιον καὶ τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον. Πλὴν οὐ τρεῖς αἰώνιοι, ἀλλ’ εἷς αἰώνιος. Οὐδὲ τρεῖς ἄκτιστοι, οὐδὲ τρεῖς ἀκατάληπτοι, ἀλλ’ εἷς ἄκτιστος, εἷς ἀκατάληπτος“.

[19] მრავალთავი, XVIII, 1999, გვ. 161

[20] A-627 (3r-6v)

[21] აზრთა სხვადასხვაობაა დღესაც ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევართა შორის, ეს ათანასე დიდის შეხედულებაა თუ გიორგი მთაწმინდელის ინტერპრეტირებული თარგმანი?

[22] მზამეტყველება, 1892, გვ.522

დიპლომატიური მეთოდებით ქვეყნის გადარჩენა იყო. თუმცა არ უნდა გამოგვრჩეს, რომ „მზამეტყველების“ ამავე თავში ანტონი ეხება რა ფერარა-ფლორენციის კრებას, მკაცრად აკრიტიკებს ეკლესიის გაყოფის მცდელობას შეუფერებელი მეთოდებით, რაც ფლორენციის კრების მოწვევის მიზეზი გახდა და ხაზს უსვამს ბერძენ და რუს ღვთისმეტყველთა მცდელობას ეკლესიის ეთიანობის შენერჩუნებაში: *„და ვიტყოდეთ მცირედ განყოფილის მის დედისაგან ჩვენისა კერძოსათვის ეკკლესიისა ლათინთასა, რომელსაცა ახალთა მოძღვართაგან და მწყემსთა პირად-პირადნი ქცევანი უმსგავსონი განუკუთვნეს, რომელი არა აქუნდა მას პირველ. ხოლო ფლორენცის მსოფლიომან კრებამან რაჲცა განსაზღვრა წინა-აღმდგომად, მისცეს მას ზედა თითოეულად სიტყვაჲ, ჩვენისა ეკკლესიისაგანთა მოძღვართა ღვთის-მეტყველთა ნათესავთაგან ღრეკთა [ღრეკი ბერძენთა ეწოდების] და რუსთასა შობილთა, და მე არა მცალს სხვათა ზედა განვრცელებაჲ სიტყვისა ერთ-ბუნებიანთაგან, რამეთუ მათდამი არს სიტყვაჲ ჩემი, და საიდუმლოსა ზედა ლიტურღიისასა სიტყვის-გებამან მოწაფეთამი ოძნელისათა მომართვა მე მიზეზი თქმათა ამათ“*[23]. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ანტონ კათალიკოსის აღსარება, ფიცი სწორედ უფრო ორთოდოქსი, ერთმორწმუნე ქვეყნის მიმართ პატივისცემის ნიშანი იყოს, ვიდრე პოლიტიკური მორჩილების აღიარება.

საყურადღებოა ერთი დეტალი, XVIII საუკუნის მოღვაწემ, აღმოსავლეთ საქართველოს პატრიაქრმა ბესარიონ ორბელიშვილმა, რომელიც ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებით, ანტონის მოძღვარიც კი იყო, კათოლიკოსის ტახტზე აღსაყდრებამდე, XVIII საუკუნის დასაწყისში, დაწერა ვრცელი ანტიკათოლიკური შინაარსის ტრაქტატი „გრდემლი“. საინტერესოა, რომ „მზამეტყველებაში“ ანტონი არგუმენტაციისთვის წმინდა წერილებიდან იყენებს იმავე თავებს, რომელსაც ბესარიონ ორბელიშვილი. ეს კი შეეხება წმინდა ზიარების საიდუმლოს. ამ თავში ანტონი არსად საუბრობს სული წმიდის გამომავლობასა და პაპის პრიმატობაზე.[24]

---

[23] მზამეტყველება, 1892, გვ.523

[24] შედარებისას გამოვიყენეთ სქოლიოში მითითებული „მზამეტყველებისა“ და „გრდემლის“ ბეჭდური გამოცემა: **ანტონი**: *„მიიღეთ და ჰსჭამეთ ესე არს ჴორცი ჩემი, ამას ჰყოფდეთ მოსახსენებელად ჩემდა, და მოიღო სასუმელი და ჰმადლობდა და მისცა მათ და ჰთქუა: ჰსუთ ამისგან ყოველთა ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისა“* (მათე 26, 26-28), [მზამეტყველება, გვ. 524], **ბესარიონი:** *„მიიღეთ და ჭამეთ ესე არს ჴორცი ჩუენი თქუენთჳს განტეხილი მისატევებელად ცოდვათა, მერმე მოიღო სასუმელი და აკურთხა და მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისა“* (მათე 26, 26) [გრდემლი, გვ. 162]; **ანტონი**: *„მოვედით და ჭამეთ პური ჩემი და სუთ ღვინოჲ, რომელი განგიმზადეთ თქვენ“* (წიგნი იგავთა 9,1), [მზამეტყველება, გვ. 524], **ბესარიონი**: *„სიბრძნემან იშენა თავისა თვისისა სახლი და ქუჱშე შეუდგნა მას შვიდნი სუეტნი და დაუკლა თვისი იგი საკლველი და განაზავა ტაკუკთა თვისი იგი ღვინოჲ და განუმზადა თვისი იგი ტაბლა და წარავლინნა თვისნი მონანი მოწოდებად მაღლითა ქადაგებითა ტაკუკთა მათ ზედა და ჰქუა: მოვედით, და ჭამეთ პური ჩუჱნი და სუთ ღვინო, რომელი განგიმზადე და დაუტეევეთ უგუნურებაჲ და სცხონდეთ“* (წიგნი იგავთა 9,1) [გრდემლი, გვ. 159]; **ანტონი**: *„უკეთუ არა ჰსჭამოთ ჴორცი ძისა კაცისა და ჰსუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრებაჲ თავთა შორის თქვენთა; ხოლო რომელი ჰსჭამდეს ჴორცსა ჩემსა იგი ჩემთა დადგრომილ-არს და მე მისთანა“* (იოანე 6,53-56) [მზამეტყველება, გვ. 524], **ბესარიონი**: *„ამენ, ამენ გეტყჳ თქუენ: უკეთუ არა სჭამოთ ჴორცი ძისა კაცისა და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრებაჲ თავთა შორის თქუენთა, ხოლო რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩუენსა და სუმიდეს სისხლსა ჩუენსა, აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნო და მე აღვადგინო უკანასკნელსა მას დღესა, რამეთუ ჴორცი ჩუენი ჭეშმარიტი საჭმელი არს, და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასუმელი არს. და რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩუენსა და სუმიდეს სისხლსა ჩუენსა, იგი ჩემთა დადგრომილ არს, და მე მისთა“* (იოანე 6, 53) [გრდემლი, გვ. 163]; **ანტონი**: *„გამოღა-იცადენ კაცმან თავი თვისი და ესრეთ პურისა მისგანი ჰსჭამენ და სასმელისა მისგანი ჰსუნ“* (1 კორინთელთა, 11, 28) [მზამეტყველება. გვ. 524],

წყაროებში დაცული არგუმენტებისა და სხვადასხვა მკვლევართა მსჯელობიდან გამომდინარე რთული სათქმელია, მიიღო თუ არა ანტონმა კათოლიკური სარწმუნოება, ან კათოლიკობის მიღების შემთხვევაში რამდენად გულწრფელი იყო ის. კ.კეკელიძე წერდა: *„ანტონიმ საქართველოში კულტურის შემოტანის მიზნით, ორიენტაცია აიღო დასავლეთ ევროპაზე და მტკიცე კავშირი დაიჭირა იმ დროს თბილისში მყოფ კათოლიკე მისიონერებთან, რომელთა გამოყენებას ის განსაკუთრებით სასკოლო საქმის მოწესრიგებაში ფიქრობდა. ამ მიზანს მან შეწირა თავისი რწმენა და კარიერა: ეს დაკავშირება და დაახლოება დამთავრდა იმით, რომ ანტონიმ კათოლიკობა მიიღო“.*[25] ამავე მოსაზრებას იზიარებს ს.ავალიანი: *„ანტონის მთავარი მიზანი ამ შემთხვევაში მხოლოდ დასავლეთის ფილოსოფიური და მეცნიერული ცოდნის ათვისება იყო.“*[26]

მიხეილ თამარაშვილისთვის კი კრება, სადაც ანტონი კათალიკოსობიდან გადააყენეს, იყო სამეფო კარის ზეწოლა ანტონსა და კათოლიკური კონფესიის აღმსარებლებზე საქართველოში და მისი არანებაყოფლობითი აღიარებაც ამის შედეგი უნდა ყოფილიყო. ის აღნიშნავს: *„ძალაუნებურად მივუახლოვდით იმ დროს, როცა უნდა წარმოვადგინოთ ჩვენს ისტორიაში კარგად ცნობილი ფაქტი, რომლითაც, დაწყებული 1240 წლიდგან ვიდრე 1755 წლამდე, ქართველ მეფეთა შორის მარტო თეიმურაზმა განითქვა სამწუხარო სახელი, რადგან მხოლოდ მან ჩაიდინა ისეთი საქმე, რომლის მსგავსი არც ერთ მის უწინარეს გვირგვინოსანს ექმნა. ის ფაქტია დევნულება, რომელიც მან აუტეხა დიდათ განვითარებულ ანტონ კათალიკოსს და კათოლიკეთა მოძღვრებს. ამ ნაირმა მისმა მოქმედებამ მისი მეფობა კარგათ დაამცირა არა მარტო საქართველოს ერის წინაშე,არამედ მთელ ევროპაშიაც, სადაც დიდად გაჰკიცხეს მისი ასეთი საქციელი. თუმცა ჩვენთვის საქებარი არ არის ასეთი ფაქტის წარმოდგენა, მაგრამ, რადგან ისტორია მიუკერძოებელი მსაჯულია, ჩვენც არ ვითაკილებთ ამ სამწუხარო ფაქტის შემოტანას. ჯერ მოვიყვანთ ერთ მოკლე მოხსენებას, რომელიც 1757 წ. რომს გაუგზავნია კაპუცინის იერონიმე ნორჩელს.*

აქ ღმერთმა ინება და გაანათლა მათი უსამღვდელოესობა ანტონ დავითიანთი, საქართველოს არხიეპისკოპოსი, რომელიც ამ უკანასკნელის დევნულების დროს განდევნეს რუსეთს, ვითარცა მწვალებელი. რავდენისამე თვის განმავლობაში წმიდა ეკლესიას შეუერთდენ ასზედ მეტი ქართველი, რომელთა შორის სახელდობრ 60 თავადს უჩივლეს განყრილებისთვის, ხოლო სინოდმა მათი გასამართლება ვერ გაბედა შიშის გამო, რათა საერთო აღშფოთება არ მომხდარიყო. უმაღლესო ბატონებო, ეს თავადები დამოუკიდებელი პატრონები არიან კაი მოზდილი საბატონოებისა: ამათ სხვებმა უწოდეს პატარა მეფენი. დანარჩენი ახლად გაკათოლიკებულნი იყვნენ მონზონები, მღვდლები და ეგრეთვე აზნაურები, რომლებიც, სულ ცოტა მაინც თითო სოფლის პატრონები არიან. ამათი გაკათოლიკება, ღვთის სემწეობით, მთელის საქართველოს შემოერთების იმედს იძლეოდა, მაგრამ, ჩემი ცოდვების გამო, უფალმა სხვა ნაირად ინება. ამიტომ მოგახსენებ, რომ ქართლში ხსენებული პირებიანად ათას ორასი კათოლიკე ძლივს იქნება, კოლხიდაში სამას კათოლიკემდე იქნება, რომელთა შორის არიან ბატონი არხიეპისკოპოსი (კათალიკოსი) ბესარიონ თავისი სამი მონაზონით, რაჭის ერისთავი როსტომ და ერთი სომხის მღვდელი. კახეთში უფრო ცოტანი არიან და ისიც აქეთ-იქეთ გაფანტულნი; მათთანვე არის არხიმანდრიტი თავისი სამი მონაზონით წმიდა ივანე ნათლისმცემლის მონასტერში და ერთი ბერძნის მღვდელი ქალაქ თელავში.

ბესარიონი: *„გამო-ღა-იცადენო კაცად კაცადმან თავი თვისი და ესრეთ პურისა მისგან ჭამეონ და სასუმლისა მისგანი სუნ“* (I კორინთელთა, 11, 27). [გრდემლი, გვ. 168].

[25] კ.კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980, გვ. 373

[26] ს.ავალიანი, ანტონ პირველი, 1987, 31

ერთი სხვა წერილითგან სჩანს, რომ დევნულების უწინარეს ანტონ კათალიკოსის დეიდა ანუ მამიდა (zia) კათოლიკედ მიცვლილა.

ეს საბუთი ცხადად გვივენებს იმ თქმულების სიცრუესა, ვითომც თეიმურაზს ყველა გაკათოლიკებულ ქართველებისათვის უარი ეთქმევინებინოს კათოლიკობისა და დევნულების შემდეგ, მან ასტეხა, აღარავინ დარჩენილიყოს ქართველ კათოლიკეთაგანი.“[27]

ცნობილია, კრების შემდეგ 1755-1757 წლებში დაიწყო კათოლიკეთა დევნა საქართველოში: მკაცრად დასაჯეს ანტონის თანამოაზრეები - ფილიპე ყაითმაზაშვილი, ალექსი მესხიშვილი და სხვები. განდევნეს კათოლიკე მისიონერები, გააუქმეს სკოლა და ჩამოართვეს ხარების ეკლესიაც კი.

აქვე აღვნიშნავ, H-1334-ში დაცულია ანტონ კათალიკოსის რამდენიმე წერილი, სადაც ანტონი აღიარებს კათოლიკობის მიღებას და გამოხატავს გარკვეულ სინანულს *„შევცდი ამ ორ სიტყვაზე: სული წმინდის საქმეზედ და პაპის უფროსობაზედ“*, წერილში საინტერესოა ანტონის სხვა ფრაზაც: *„უგუნურებით შეცთომილ ვიქმენ და ლათინთა ბოროტად მადიდებლობა პირითა ჩემითა ყოვლად ცხადად აღვიარე“.*

რუსეთში გადასახლებული ანტონი ეახლა უმაღლეს საერო და სასულიერო პირებს 1757 წლის 17 მარტს და ერთგულების დასტურად გადასცა „სიმვოლო სარწმუნოებისა“, რომელიც 12 მუხლისა და საერთო დასკვის, ანტონის აღსარებისგან შედგებოდა. პლ. იოსელიანს „წყობილსიტყვაობის“ შესავალში მოჰყავს „სიმბოლოს“ მხოლოდ დასკვნითი ნაწილი მცირე კომენტარებითა და აღწერით: *„ს. პეტერბურგის უწმინდესისა არხივში [№350 საქმეთა 1756 წლისა] იპოება ოქმი ანუ ბრძანება მეფისა თეიმურაზისა, მოწერილი 4 აპრილსა 1756 წელსა, რომლითაცა უბრძანებს ქრისტეს აღდგომისა დღესა წირვასა აღსრულებასა ქალაქსა გორს და მერეთ განმგზავრებასა რუსეთად.*

ესრეთ წარსრული, მივიდა 15 აგვსტოსა ყიზლარისა ქალაქსა; 16 იანვარსა[28] *1757 წელსა მიაწია მოსკოვს და 8 მარტსა ქ. ს. პეტერბურღს. 11 მარტსა წარდგა უწმინდესისა სინოდში. აქა, შემდგომად თავისა თვსისა განმართლებისა შეწამებაზედ ლათინობისა, (გამოცხადებულისა ვრცლად არზაში, რომელიცა მიართუა იმპერატრიცა ელისაბედ პეტროვნას 17 მარტსა 1757 წელსა) მიჰსცა, საკუთარისა ჴელითა დაწერილი, სიმვოლო სარწმუნოებისა. ბოლოს ამა მრწამსისა, მიუწერია შემდეგნი სუტყუანი:*

„ხოლო წმინდათა შვდთა მსოფლიოთა კრებათაგან ყოველსა აღსარებულსა, დამტკიცებულსა, შეწყნარებულსა და ყოველსა, რასაცა აღიარებს და დაამტკიცებს, შეიწყნარებს და მიიღებს დღეს წმინდა ეკლესია აღმოსავლეთისა, რომელ-არს ეკლესია კოსტანტინეპოლისა, ალექსანდრიისა, ანტიოხიისა და იერუსალიმისა და ყოვლისა რუსეთისა, მეცა აღვარებ, შევიწყნრებ და სურვლით ამბორს-უყოფ; და წმინდათა შვდთა მსოფლიოთა კრებათაგან და დღეს კონსტანტინოპოლისა, ალექსანდრიისა, ანტიოხიისა და იერუსალიმისა და ყოვლისა ეკლესიისაგან შეჩუნებულსა და განგდებულსა, მეცა შევაჩუნებ და განვაგდებ“.

ანტონი სრულიად საქართუელოჲსა კათალიკოსი (ჴელ-მოწერილია ხუცურად) [ესე ყოველივე ვრცლივ იპოება სინოდისა არხივისა აქმეთა შინა 1757 წლისა №350]

ესრეთისა ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა აღსაარებისაა ძალით უწმინდესმან მოახსენა იმპერატრიცას ელისაბედ პეტროვნას საქმე ანტონისა და ბრძანა იმპერატრიცამან მიცემა მისდა ეპარხიისა არა შორს მოსკოვიდამ (дать емуАнтонію Епархію не вь дальности оть Москвы). 1 დეკემბერს 1757 წელსა დაინიშნა გამგედ ეპარხიისა ვლადიმირისა და იერაპოლისა, და უცოდინარობისა-გამო რუსულისა ენისა სურვლისა-მებრ თვთ ანტონისა

[27] მ.თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, 373-372

[28] პლატონ იოსელიანი უ-ს ნაცვლად ხმარობს უ-ს [უბრუჯგუს]№

მიუჩინეს მთარგმნელად ქართუ̈ლი დეკანოზი, დროსა ამას რუსეთისა ქალაქს სვიაჟსა მყოფი, გიორგი დავიდოვი. მისრულსა რუსეთად თანა-ახლდენ მას შემდეგნი პირნი:

არხიმანდრიტი სტეფანე. იღუმენი და კანდელაკი მიხაილ, შემდეგ თფილელობისა ხარისხსა აღჟუანილი [ესე ასაფლავია სიონისა საკათედროსა თფილისს ეკკლესიაში]. დეკანოზი ზაქარია. პროტო-დიაკონი გაბრიილ. იეროდიაკონი იოანე, შემდგომად მროველისა კათედრაზედ აღჟუანილი. ბერი და იპოდიაკონი პორფირი [იყო მწერალი მისი მრავალნი არიან არწერილნი მისგან წიგნნი. ამან თარგმნა რუსულათ წიგნნი: 1) აღება კონსტანტინოპოლისა თურქთაგან. 2) დარღუ̈ვა იერუსალიმისა თურქთაგან].

ეფრემ. იოანე. გიორგი. მკითხუ̈ლი [Псаломщикъ - ესრეთ უთარგმნიათ რუსულად] ტიმონ. ამას ეწოდა მერეთ ბერობაში ტრიფილე. თავადი იოანე ხერხეულიძე. თავადი რიონ მელიქოვი [Родинъ, - რუსულად თარგმნიათ]. აზნაური პართენ გედევანის-შვილი [სახლთ-უხუცესი მისი]. აზნაური ბეჟან თავყელოვი. ველეინიკი გიორგი ნონაზევი. პავლე. ზურაბ. მსახურნი 5: გიორგი. ეფრემ და ივანე.

1764 წელსა მეფემან ირაკლი მეორემან მოუწოდა კუ̈ალად ანტონის საქართუ̈ლოდ და იღიჟუანა კუ̈ალადვე თჳსსა კათალიოზობისა ხარისხსა. 1783 წელსა ტრაკტატისა ძალით, რომელიცა დამტკიცდა შორის იმპერატრიცა ეკატერინა მეორისა და ირაკლი ქართლისა და კახეთისა მეფისა, ჰქმეს ანტონი წევრად უწმინდესისა რუსეთისა სინოდისა".[29]

როგორც ვნახეთ, პლ. იოსელიანის რედაქტორობით გამოცემულ „წყობილსიტყვაობაში" მოცემულია ანტონის „სიმვოლო სარწმუნოებისა"-ს მხოლოდ ნაწილი, მიხეილ ქავთარიასთან კი მოცემულია სრული ვერსია[30]: „*1. მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუ̈ყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა.*

2. და ერთი უფალი იესუ ქრისტე , ძე ღმრთისა, მხოლოდ შობილი მამისაგან, შობილი, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა.

3. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი, ღმრთისაგან ჭეშმარიტისა შობილი და არა ქმნილი, თანა არსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა.

4. რომელი ჩუ̈ენ კაცთათჳს და ჩუ̈ენისა ცხოვრებისათვის გარდამოჴდა ზეცით და ჴორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისგან ქალწულისა განკაცნა.

5. და ჯუარს ეცუა ჩუ̈ენთჳს პონტიელისა პილატეს ზე და ივნო და დაეფლა და აღდგა მესამე დღესა მსგავსად წერილისა.

6. და ამაღლდა ზეცად და მჯდომარე არს მარჯუ̈ენით მამისა.

7. და კუალად მომავალ არს დიდების განსჯად ცხოველთა და მკურდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრული.

8. და სული წმიდა უფალი და ცხოველმყოფელი, რომელი მამისაგან გამომავალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანისიცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყუ̈ელთა მიერ.

9. ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკკლესია.

10. აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდჳათა.

11. მოველი აღდგომასა მკუდრეთით.

12. და ცხოვრებისა მერმისა მის საუკუნესა, ამინ."

მიხეილ ქავთარია მიიჩნევს: „ანტონის „საფიცარი აღთქმა" უნდა ყოფილიყო მისივე „სიმვოლო სარწმუნოებისას" გაგრძელება, ლოგიკური დასასრული. ერთი საინტერესო დეტალი ანტონის „საფიცარ წიგნთან" დაკავშირებით. სავარაუდოდ,

[29] წყობილსიტყვაობა, 1853, გვ. IX-XIII

[30] მ.ქავთარია, XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1977, გვ. 29-30

ხელნაწერი ავტოგრაფი უნდა იყოს. ანტონს ხელნაწერში ხაზგასმული, გამოყოფილი აქვს ის ადგილები, სადაც მიმართავს იმპერატორსა და რუსეთის ეკლესიის სინოდს.

ქართულ ხელნაწერ ფონდებში შემორჩენილია ბესარიონ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის მსგავსი „აღთქმა“, ფიცი. ცნობილია, 1750 წელს ბესარიონმა მიიღო კათოლიკობა. ის სწორედ დასავლეთის, რომის, ეკლესიის წინაშე დებს ერთგულების ფიცს, რომელიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში მიხეილ თამარაშვილის პირად საარქივო ფონდში №101.[31] ანტონის „საფიცარი აღთქმა“ წააგავს დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის ბესარიონის აღსარებას. ქვემოთ სქემატურად მოგვყავს პარალელი „საფიცარი აღთქმას“, „სიმვოლო სარწმუნოებისასა“ და ბესარიონ კათალიკოსის „აღსარება სარწმუნოებას“ შორის:

ა)

№	ანტონ კათალიკოსის „საფიცარი აღთქმა“ (H-1334)	ბესარიონ კათალიკოსის „აღსარება სარწმუნოებისა“ (თამარაშვილი №101)
1	⁄[ნუსხ]გრეთვე აღვიქვამ დამარხვასა კანონთა წ[მიდ]ათა მოციქულთა, შვიდთა მსოფლიოთა, და მართლმადიდებელთა ადგილობითთა კრებათა, რ[ომე]ლნი დასამარხველად მართალთა ბრძანებათა სჯულდებულ იქმნეს და რაოდენიცა ჟამად ჟამად და წელთა ჭ[ეშმარი]ტთა მბრძოლთაგან წ[მიდ]ისა აღმოსავლეთისა მართლმადიდებელისა სარწმუნოებისათვის კანონნი და წ[მიდ]ანი განწესებანი დაისახნეს, ამათ ყ[ოველ]თა დამარხვასა მტკიცედ და უცვალებელად აღსასრულადმდე ცხოვრებისა ჩ[ემ]ისა აღთქმითა ამით ჩემითა ვწამებ	„... კიცდა: რამეთუ ჯერ არს ჩვენდა, რათა გვქონდეს და შევინახოთ ხატნი ქრისტესი, და ქალწულისა ღითისმშობლისა, და სხვათა წმიდათა, და ღირსეულ და მდიდრობას ვცემდეთ მათა: ი: პატივისცემ და შევიწყნარებ კოსტანტინეპოლის მეოთხე კრებასა, რომელ არს მერვე რიგითა, და აღვიარებ, რამეთუ სიმართლით დაისაჯა მას შინა ფოციე და ჴელახლავ დამტკიცდა წმიდა ეგნატე სკამსა თვისსა:
2.	მე ყ[ოვლა]დ ბრწყინვალის და უმჯყრობელისის დიდის ჴელმწიფის იმპერატრიცას ელისაბედ პეტროვნას თვითმპყრობელისა ს[რულია]დ რუსეთისა, და სხუათა და სხუათა და სხუათა და მათის იმპერატორობის დიდებულების მაღლის სჯულიერის მემკვიდრისა, მათის იმპერატორობის სიმაღლისა კეთილმორწმუნისა ჴელმწიფეს დიდის თავადის პეტრე	კვ: კუალად აღვიარებ და შევიწყნარებ ყოველი იგიც, რომელს შეიწყნარებს და აღვიარებს ჰრომს წმიდა ეკლესია, და ერთობლივ ყოველი წინაღმდეგ მწვალებლობა და ჰერეტიკოსობა, რომელნიც იგივე ეკლესია სჯის, შორგანაგდებს, დაჰკრულამს, და მოჰკვეთს, მეც თვით ვსჯი, შორგანვაგდებ, დავჰკრულამ, და მოჰკვეთ: კზ: კუალად უფროსად ვპირდები და აღუთქვამ ჭეშმარიტს მორჩილობასა

[31] სრული ტექსტი იხილეთ: ნ. მეგენეიშვილი, XVIII საუკუნის ოთხი ტრაქტატი კათოლიციზმის შესახებ ქართულ სამწერლობო ტრადიციაში, 2024, 380-383.

	ჶეოდორივიჩისა, რ[ომელ]ი ნებითა და თჳთმპყრობელობითისა მათის იმპერატორობის დიდებულების ჴელმწიფებითა განწესებულ არს, და შემდგომად მათისავე იმპერატორობის დიდებულისა თჳითმპყრობელობითის მათის იმპერატორობის დიდებულების ჴელმწიფებისა მიერ განწესებადთა, და მიღებად ტახტისა ღირს ქმნილთა მაღალთა მემკვიდრეთა, მნებავს რათა ვიყო ერთგული, კეთილი, და მორჩილი მონა, და საუკუნოდ მონა და არსად თჳნიერ ყოვლად უმაღლესის მათის იმპერატორობის დიდებულების ნება ყოფს და ბძანებისა, საზღვართა გარე წარვიდე და უცხოს ქვეყნისა სამსახურსა არა შეუდგეთ	ჰრომის წმიდა პაპას, ნეტარო პეტრეს მოციქულთ მთავრის ჯანიშინსა, და ნაცვალსა იესო ქრისტესასა:
3.	კ[უალა]დ ეკლესიისა მშვიდობასა აღვითქვამ დამარხვად, და მტკიცედ პყრობად, და გულსმოდგინედ სწავებად მონიჭებულისა ჩემდა ერისა, და არცა ერთითა უკვე წესითა რასამე წინააღმდგომად მართლმადიდებლობისა აღმოსავლეთის ქრისტიანობის სარწმუნოებისა ვბრძნობდე ყ[ოველ]თა დღეთა ცხოვრებისა ჩ[უენ]ისათა, და შეუდგე მე ყ[ოველ]სა შინა და დავემორჩილო მ[არა]დის უწმინდესსა მმართებელსა ს[რულია]დ რუსეთისა სინოდსა, ვითარცა სჯულიერსა ჴელმწიფებასა	კჱ: მე თვით (ესე და ეს სახელოვანმან) ვპირდები, აღუთქვამ, და ვფიცამ, რამეთუ სარწმუნოება ესე საყოვლიერო ეკლესიისა, რომლის გარე არავის ძალ უძს ცხონებად, რომელსავეს ნებითა და წადიერობითა ჩემითა აწ აღვიარებ და ჭეშმარიტად ვიწყნარებ, იგივე შეწევნითა ღვთისათა მრთლად და შეუშლელად დავიმარხავ და დავამტკიცებ დაღსასრულადმდე ცხოვრებისასა ჩემისა, და ცდითაც ვეცდები, რათა რომელნიც ჩემს მიბარებულნი, აღვიარებდნენ, ასწავლიდნენ, და ქადაგებდნენ ამავე სარწმუნოებასა: ესრედ შემწე მეყოს მე ღმერთი და ესე წმიდა სახარება ღვთისა: ამინ: ...“
4.	კ[ულა]დ ამასცა აღვიარებ წერილითა ამით ჩ[ემ]ითა რ[ამეთუ] არცა ოქროსა და არცა ვეცხლისა ქადებითა, გინა მიცემითა მსახურებად მოვიწევ, არა რაჲმე უკვე ეს მე მივეც მოპოვნებისათ[ჳ]ს ღირსებისა ამის, არცა უქადე ეს მე მიცემად ა[რამე]დ უსასყიდლოდ მივიღე ნებითა	ივ: კუალად აღვიარებ, რამეთუ სამოციქულო წმიდა ტახტსა და ჰრომის პაპას აქუს თაობა და შემძლეობა ყოველსა ქვეყანაზედ, და აღვიარებ, რამეთუ თვით ჰრომის პაპი ვექილი არს მოციქულთ მთავარი წმიდისა პეტრესი, და ჭეშმარიტი მაგიერი ქრისტესი, და ყოველი ეკლესიის თავი, და მოძღუარი ყოველთა ქრისტიანეთა
5.	გარნა მოკლითა სიტყვითა დამატკიცებელი, აღვსთქვამ, და	კგ: კუალად აღვიარებ, რამეთუ ჯერ არს შეწყნარება, და პატივისცემა სამოციქულო

	თანამდებად თავსა ჩ[ე]მსა აღვიარებ, დამარხვად უცვალებელად ყ[ოველ]თა წინა დადებულთა განწესებასა შინა უწმიდესისა მმართებულისა ს[რულია]დ რუსეთისა სინოდისას, და სინოდისა სიგელისაებრ, ვ[ითა]რიცა მე მის უწმიდესისა სინოდისაგან მონიჭებულისა მმართებლობისათ[ჳ]ს მომეცემის, და შეუდგე სხვათაცა ბრძანებათა, და განწესებათა,	და საეკლესიო დარიგებათა:
6.	კ[უალა]დ ვფუცავ ყოვლისა მხედველსა ღმერთსა, რამეთუ ყ[ოველ]სა ამას ... აღთქმულსა არა სხვაფერ გონებასა შ[ინ]ა ვთარგმნი ვ[ითარც]ა წარმოვთქუამ ... ძალითა და გონებითა ვითარსაცა ძალსა და გონებასა აქა წერილნი სიტყვანი მკითხველთა და მსმენელთა ცხად უყოფენ ჳ[ოლო] ყოველთა ამათ თანა თანამდებ ვარ ვ[ითა]რცა დღეს სიტვითა აღვქუი, ეგრეთვე საქმისაცა უკანასკნელად აღმოფშვინვადმდე მომავალთათ[ჳ]ს კეთილთა აღსრულებად ვამტკიცებ ფიცითა ჩემითა: იყოს ჩემდა გულისა განმხილველი ღ[მერ]თი აღთქმისა ჩემისა მოწამე, რ[ამეთუ] უტყუარ არს, ხ[ოლო] უკეთუ ცრუ არს, და არა სინიდისაებრ ჩ[ემ]ისა იყოს იგივე ჩემდა მართლ მსაჯული მომგებელ.	ქ. ჭეშმარიტად მრწუნებელი სარწმუნოებისა ამის. (ბეჭედი კათალიკოს ბესარიონისა) (იგულისხმება აფხაზეთის კათალიკოსი).

ბ)

№	ანტონი კათალიკოსი „სიმვოლო სარწმუნოებისა“	ბესარიონ კათალიკოსის „აღსარება სარწმუნოებისა“ (თამარაშვილი №101)
1.	8. და სული წმიდა უფალი და ცხოველმყოფელი, რომელი მამისაგან გამომავალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანისიცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყუ֍ლთა მიერ.	იბ: მრწამს და აღვიარებ, რამეთუ სული წმიდა მამისაგან და ძისაგან და საუკუნოდ ორთავესიგან გამოვალს ვითარმედ ერთი მხოლოდ დასაწყისიდაღმე და ერთი მხოლოდ შებერვიდაღამ:
	9. ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკკლესია.	ივ: კუალად აღვიარებ, რამეთუ სამოციქულო წმიდა ტახტსა და ჰრომის პაპას აქუს თაობა და შემძლეობა ყოველსა

		ქვეყანაზედ, და აღვიარებ, რამეთუ თვით ჰრომის პაპი ვექილი არს მოციქულთ მთავარი წმიდისა პეტრესი, და ჭეშმარიტი მაგიერი ქრისტესი, და ყოველი ეკლესიის თავი, და მოძღუარი ყოველთა ქრისტიანეთა, რომელსავეც ნეტარი პეტრეს მიერ მეცა უფალი ჩვენი იესო ქრისტესაგან სავსე სრული შეძლება ძუებისა, მწყემსობისა, და მოვლისა საყოვლიერო ეკლესიისა, ვითარცა დაწესებათა შინა ჭეშმარიტად მოწმებულ არს, თქმისაებრ ფლორენციისა წმიდისა კრებისასა:
	10. აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდუათა.	კა: კუალად აღვიარებ, რამეთუ ნათლისღება დასაჭირებელ არს, კაცთა ცხონებისათვის, არამედ, უკეთუ წინააღმდეგს ჭირმან სიკვდილისამან, ჴამს მეყსეულად და დაუზარებლად მსახურება და მიცემა მისი: და მრწამს, რამეთუ კეთილი და ჭეშმარიტი არს ნათლისღება იგი, რომელი თავისი მართალი და მკვიდრი ნივთით, ანდაზით და საღავათით მიეცემის რომელსამე ჟამსა იყოს რომლისაგანვე, და რომელსამე ადგილსაც მიეცემოდეს:

შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ამგვარი დაფიცება, პირობის დადება იყო პატრონის წინაშე მორჩილების გამოხატვის ერთგვარი ფორმა. აქვე საყურადღებოა ერთი დეტალი, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის ბესარიონის საფიცარი წიგნი არ არის დედანი, იგი გადაწერილია მიხეილ თამარაშვილის მიერ. საინტერესოა, თუკი ანტონ კათალიკოსმა მართლაც აღიარა კათოლიკობა, რატომ არ იძებნება რომის ეკლესიის წინაშე მის მიერ დადებული მსგავსი „აღსარება სარწმუნოებისა“ და არც მიხეილ თამარაშვილი ახსენებს მას. ასევე როცა ხაზს ვუსვამთ ამ ფაქტთან დაკავშირებით პოლიტიკურ მოტივს, უნდა გავიხსენოთ, რომ ბესარიონ ორბელიშვილსაც ვრცელი ანტიკათოლიკურ ტრაქტატი „გრდემლი“ სწორედ თბილისში მყოფი მისიონერების, მათ შორის ლათინი მოძღვრის ფრანჩესკო ბოლონიელის „დახმარებით დაუწერია“,[32] თუმცა ამას ხელი არ შეუშლია 1724 წელს დომენტი კათალიკოსის ექსორიობის შემდგომ კათალიკოსის ტახტზე ასულიყო.

დროთა განმავლობაში დამოკიდებულება ანტონის მიმართ მკვეთრად შეიცვალა. როგორც ცნობილია, მამისგან განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა ანტონთან ერეკლე II-ს. ს. ავალიანი ანტონის „სპეკალზე“ მსჯელობისას აღნიშნავს: *„ამ თხზულებაში ჩამოყალიბებულ ფილოსოფიურ აზრებს ანტონი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა („სპეკალი“, ე.ი. ძვირფასი ქვებით შემკულ ნივთად თვლის), რომ მისი სათაყვანებელი მეფის ერეკლეს მიძღვნის ღირსად მიაჩნია“.*[33] სწორედ ერეკლე II-ეს მეფობის დროს 1763

[32] კ.კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1980, გვ. 350

[33] ს. ავალიანი, ანტონ პირველი, 1987, გვ. 22

წლის 20 მარტს ანტონი საქართველოში დაბრუნდა, მალევე მას კათალიკოსის სტატუსიც კი დაუბრუნეს, ანუ „დაირღვა“ განჩინება, რომელიც ანტონს ეკლესიის მწყემსმთავრობას უკრძალავდა. საინტერესოა. როდის აღსრულდა სამართალი ანტონის მიმართ, როცა გადააყენეს კათალიკოსობიდან, თუ როცა აღადგინეს? იქნებ საეკლესიო განჩინების მიზეზი სწორედ პოლიტიკური მოტივი იყო და არა საეკლესიო სამართლის დარღვევა.

დასკვნა. არგუმენტების მიუხედავად, შეუძლებელია იმის მტკიცება, რამდენად გულწრფელი იყო კათალიკოსი ანტონი კათოლიკობის აღიარებისა თუ რუსეთის კარის წინაშე „საფიცარი აღთმის“ დადებისას. ფაქტია, პოლიტიკური კრიზისი ხშირად რთული გადაწყვეტილების მიღების წინაშე აყენებს დიდ მოაზროვნეებსა და მმართველ ელიტას. ეს არის ერთ-ერთი გავლენიანი სტრუქტურის თუ ინსტიტუციის, ეკლესიისა და ტრადიციის, კოლექტიური მეხსიერების დაცვა, რომელიც ერის ავთენტურ კულტურასა და მსოფლიო ცივილიზაციათა შორის ეთნოსის ავტონომიურ ცნობიერებას უსვამს ხაზს ახალი პოლიტიკური მოცემულობის ფორმირების ეპოქაში. ერის ჩამოყალიბება არ არის მხოლოდ პოლიტიკური ჩარჩოების ან სამართლებრივი ნორმების შექმნა და დაცვა, არამედ სწორი ცნობიერების, ეპოქალური აღქმის, სოციალური მოვლენების, ეკონომიკური სტრუქტურის, სამართლებრივი ნორმების არქიტექტურის ფორმირებაა, რომელმაც ერის იდენტობა უნდა ჩამოაყალიბოს ეპოქალურ მოცემულობასთან თანხვედრაში. სწორედ ასეთ გარდამტეხ ვითარებაში ჩანს მმართველი ელიტისა და საზოგადოების გონიერება, მზაობა, შესწევს თუ არა უნარი საერო და სასულიერო ინსტიტუციებსა და საზოგადოებას, ისე შეინარჩუნონ ეროვნული იდენტობა, უზრუნველყონ ტრადიციული ცნობიერების უწყვეტობა, რომ ეპოქალურ ცვლილებებთან თანხვედრაში მათი სტრატეგიითა და გადაწყვეტილებებით დააზღვიონ სახელმწიფო განადგურებისგან. ასეთი სირთულის წინაშე იდგა სამეფო ოჯახის შვილი, კათალიკოსი ანტონი.

H-1334-ში დაცული ტექსტი[34]

საფიცარი აღთქმა

(203r) *მ*ე ქვემო ჴსენებული, მოსრული რუსეთად ქართლთგან არქიეპისკოპოსი ანტონი, (განწესებადი აწ ვლადიმერისა ეპარხიაში, ეპარხიის არხიერეიად აღუთქვამ და ვფუცავ ყოვლად ძლიერსა ღ[მერ]თსა, რ[ამეთუ] მე ყ[ოვლა]დ ბრწყინვალის და უმპყრობელისის დიდის ჴელმწიფის იმპერატრიცას ელისაბედ პეტროვნას თვითმპყრობელისა ს[რულია]დ რუსეთისა, და სხუათა და სხუათა და სხუათა და მათის იმპერატორობის დიდებულების მაღლის სჯულიერის მემკვიდრისა, მათის იმპერატორობის სიმაღლისა კეთილმორწმუნისა ჴელმწიფეს დიდის თავადის პეტრე ფეოდორივიჩისა, რ[ომელ]ი ნებითა და თჳთმპყრობელობითისა მათის იმპერატორობის დიდებულების ჴელმწიფებითა განწესებულ არს, და შემდგომად მათისავე იმპერატორობის დიდებულისა თჳითმპყრობელობითის მათის იმპერატორობის დიდებულების ჴელმწიფებისა მიერ განწესებადთა, და მიღებად ტახტისა ღირს ქმნილთა

[34] ტექსტი მოგვყავს უცვლელად. დაცულია პუნქტუაცია, ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური სტუქტურა. ქარაგმა გახსნილია და შემოკლებული ნაწილი მოქცეულია კვადრატულ ფრჩილებში. დახრილად, იტალიკით აღნიშნულია ის გრაფემები, რომლებსაც ანტონი ნუსხურად გამოსახავს.

მაღალთა მემკვიდრეთა, მნებავს რათა ვიყო ერთგული[35], კეთილი, და მორჩილი მონა, და საუკუნოდ მონა[36] და არსად თჳნიერ ყოვლად უმაღლესის მათის იმპერატორობის დიდებულების ნება ყოფს და ბძანებისა, საზღვართა გარე წარვიდე და უცხოს ქვეყნისა სამსახურსა არა [შეუდგეთ - ნ.მ.][37]. ეგრეთვე არა მაქვნდეს მტერთა თანა მათის იმპერატორობის დიდებულებისათა ვნებითი გულის განხილულება, არცა რამე დაყენებული მიმოწერა შინაგან და გარეშე რუსეთისა ხელმწიფისა ვიჴმარო, არცა რ˜ლითამე [რომელითამე] სახითა წინააღმდეგად თანა მდებობისა ერთგულისა მონისა მათის იმპერატორობის დიდებულებისა ვიქცეოდე, და ყოველივე[38] მაღლისა მათის იმპერატორობის დიდებულებას თვითმპყრობელობისა ძალისა და ჴელმწიფებისა გარემონი, და ყ[ოვე]ლი მაღლისა მათის იმპერატორობის დიდებულების თანაშერთულნი სამართალთა და წარჩინებულებათა სჯულდებულთა და კ[ვალა]დ სჯულდებადთა ყ[ოველ]ითა გონებითა ძალითა და შეძლებითა წინასწარ უფრთხოდე მათთ[ვი]ს ვბრძოდე, და ვიფარვიდე, და მის ყ[ოვლ]ისათ[ვი]ს ცხოვრებაცა ჩემი შემხვდომითსა საკმარ ჟამსა არადავიშურო, და ამისთვის საზ ...[39] საებრ ვიღუწოდე თანაშეწევნად ყ[ოვლ]ისა მის, რაჲცა მათისა იმპერატორობის ..... ისა მსახურებასა და სარგოსა საჴელმწიფოსასა ყ[ოველ]ი შეხდომილებათა შინ შეეხებოდეს (203v). და შევეწეოდე ყ[ოვლ]ითა გულსმოდგინებითა მეშურნეობითა რაოდენცა უკანასკნელმან შეძლებამან ჩემმან მიშავს, ხ[ოლო] დაკლებისათჳის მათის დიდებულების[40] სარგოსა, ხ[ოლო] ვნებისა და საკლისისათ[ჳ]ს რაოდენსაცა[41] უმალ[42] ეუწყო, არათუ კეთილჟამიერად გამოვაცხადო, ა[რამე]დ ყ[ოვლ]ით კერძო მიქცევად წინააღდგომობად და არა მიშვებად ვიღწვოდე და ოდეს სახურებისათ[ჳ]ს და სასარგებლოსა მათის დიდებულებისა გინა ეკლესიისა, რამე საიდუმლო საქმე, გინა ვითარცა იგი იყოს, რომლისაცა ბრძანებულ არს ჩემდა საიდუმლოდ დაცუა[43] იგი დავმარხო სრულიად საიდუმლოდ, და არცა ვისმე გამოუცხადო, რ[ომე]ლთაცა უწყება მისი არაჯერ-არს[44], და ვისიცა გამოცხადება არა ბრძანებულ არს. ჟრეთვე[45] აღვიქვამ დამარხვასა კანონთა წ[მიდ]ათა მოციქულთა, შვიდთა მსოფლიოთა, და მართლმადიდებელთა ადგილობითთა კრებათა, რ[ომე]ლნი დასამარხველად მართალთა[46] ბრძანებათა სჯულდებულ იქმნეს და რაოდენიცა ჟამად ჟამად და წელთა ჭ[ეშმარი]ტთა მბრძოლთაგან წ[მიდ]ისა აღმოსავლეთისა მართლმადიდებელისა სარწმუნოებისათვის კანონნი და წ[მიდ]ანი განწესებანი დაისახნეს, ამათ ყ[ოველ]თა დამარხვასა მტკიცედ და უცვალებელად აღსასრულადმდე ცხოვრებისა ჩ[ემ]ისა აღთქმითა ამით ჩემითა ვწამებ და ყ[ოველ]სა რაოდენიცა მით მიიღეს, მეცა მივიღებ, და რ[ომე]ლსაც იგინი ევლტოდენ მეცა განვევლტვი. კ[უალა]დ ეკლესიისა მშვიდობასა აღვითქვამ დამარხვად, და მტკიცედ პყრობად, და გულსმოდგინედ სწავებად მონიჭებულისა ჩემდა ერისა, და არცა ერთითა უკვე წესითა

[35] დ გადაუხაზავს და დაუწერია თ. ეწერა - ერდგული
[36] ეწერა - ყმა და გადაუშლია, აქვე გადაუშლია - ყოველ
[37] დაზიანებული
[38] ყ[ოვლ]ისა
[39] ამოხეულია
[40] იმპერატორობის [გადახაზულია]
[41] რაოდენცა [გადახაზულია]
[42] უმალცა [გადახაზულია]
[43] პყრობა [გადახაზულია]
[44] არს, იყოს[ჯერ დაუწერია - არს. გადაუხაზავს და დაუწრია - იყოს, შემდეგ სეუცვლია და დაუწრია - არს]
[45] პირველი გრაფემა - ე ნუსხური დამწერლობით არის მოცემული
[46] ჭეშმარიტთა [გადახაზულია]

რასამე წინააღმდგომად მართლმადიდებლობისა აღმოსავლეთის ქრისტიანობის[47] სარწმუნოებისა ვბრძნობდე ყ[ოველ]თა დღეთა ცხოვრებისა ჩ[უენ]ისათა, და შეუდგე მე ყ[ოველ]სა შინა და დავემორჩილო მ[არა]დის უწმინდესსა მმართებელსა ს[რულია]დ რუსეთისა სინოდსა, ვითარცა სჯულიერსა ჴელმწიფებასა, ნეტარისა და საუკუნოსა ჴსენებისა ღირსისა მათის იმპერატორობის დიდებულებისა პეტრე დიდისაგან[48] განწესებულისა, და კეთილ ბედნიერად მპყრობელისა მათის იმპერატორობისა დიდბულებისა და სათნო ჩენითა დამტკიცებულისა და ყ[ოვლა]დ სამრუდელოთა მიტროპოლიტთა და არქიეპისკოპოსთა და ეპისკოპოსთა ძმა(204r)თა ჩემთა, ყ[ოველ]თა შინა თანამზრახველ ვიყო, და თანა მოწესე, სამღთოსა სწავლისა, და სამღუდელოთა კანონთა მიერ წმიდათა მოციქულთა და წ[მიდ]ათა მამათა და სიყვარული სულიერი სავსისა ...ზისა მათდა მ[იმა]რთ და ვ[ითარც]ა გარნა ... ვსცემდე. მ̃რმეცა აღვიქვამ ....რებითისა წესთა განვაგებდე .... სოსა ჩემდა რწმუნებულთა .... ელისა, ლათინობისა და ყ[ოველ]თა სხვათა წვალებათაგან ვფარვიდე მას მოძღვრებისამებრ ყ[ოველ]თა გულსმოდგინებითისა მოღვაწეობითა. ხოლო აღრჩეულთა უწმიდესისა მმართებელისა ს[რულია]დ რუსეთისა სინოდისათა, ხოლო აღჩეუთა უწმიდედსისა მმართებელისა ს[რულია]დ რუსეთისა სინოდისათა: ხ[ოლო] საქონლითა მიმღებელთა განკვეთისა ღირსად ვსჯი, ვ[ითარც]ა სიმონ მოგვისა რ[ომე]ლი მადლისა ამის მიღებასა საფასით ჰგონებდა. კ[უალა]დ[49] აღვისთქვამ არა რისამე ყოფად და მჭინოებითა, უკეთუ ძლიერთაგანცა კაცთა გინა სიმრავლისაგან ერისა დაჭირვებულ ეყო, და უკუეთუ სიკუდილითაცა მაყენებდენ მე, მბრძანებელნი ჩემდა ქმნისა რისამე უფროს სამღთოთა და სამღუდელოთა კანონთა რ[ომლ]ისაცა არა ჯერ არს ყოფად: გინა სხვისა ეპარხიასა შინა მიტროპოლიტისა, რ[ომ]ლისამე გინა არქიეპისკოპოსისა გინა ეპისკოპოსისა[50] ლიტურღიისა აღსრულებად გინა სხვისა რისამე სამღუდელოსა საქმისა ყოფად თვინიერ ეპარხიისა მის ერქიერისა ნებისა, თვინიერ მოცემულისა ჩემდა ეპარხიისა უწმიდესისა მმართებელისა ს[რულია]დ რუსეთის სინოდისაგან დაცვაცა[51] რისამე (204v) ... (სახითა)[52] შეხდომითა ვიმყოფებოდე მე არა დავსხა ჴელი მღუდელსა გინა დიაკონსა გინა სხვასა რასამე კლირიკსა სხვისა ეპარხიისასა, არცა მივიღო მე ჴელდასხმული ჩემსა შინა ეპარხიასა თვინიერ განტევების წიგნისა თ[ვი]საგან არქიერთა. კ[უალა]დცა აღვსთქვამ რ[ამეთუ] ოდეს .....[53] რუსეთისა სინოდმა[54] ინებოს წოდება ჩემი კრებასა ... .[55] თჳინიერ მიზეზობისა და სიტყვისა ვიდოდე მე კრებად, და უკეთუმცა ძლიერთა ვითთამე გინა ერისა სიმრავლემან ინებოს დაბრკოლება ჩემი, თანამდებ ვარ არა ურჩებად ბრძანებისა უწმიდესისა მმრთებელისა ს[რულია]დ რუსეთისა სინოდისასა. მ̃რმეცა აღვსთქვამ არა მიღებად უცხოთა ჩვეულებათა ეკლესიისა მცნებათა, და წესთა შინა, უმეტეს ლათინთაგან ახლად აღრეულთა: ა[რამე]დ დავმარხო მცნებანი და წესნი ყ[ოველ]ნი უცვალებელად აღმოსავლეთისა მართლმადიდებელისა ეკლესიისა თანა, თანაჴმობითა, და ერთ ბრძნობითა უწმიდესისა მმართებელისა სრულიად რუსეთისა სინოდისა თანა, და უწმიდესთა ოთხთა პატრიარქთა აღმოსავლეთისა მართლმადიდებლობისა მმართველთა და მმარხველთა თანა, არა დავასხა მე ჴელი ერთსა ლიტურღიისა ზედა მღუდელთა და დიაკონთა. თვითოეულსა წესსა შინა ორორთა და სამსამთა და უფროსთა: ა[რამე]დ

[47] ეკლესიის წმიდისა [გადახაზულია]
[48] პირველისა [გადახაზულია]
[49] უფლისა მისსა [გადახაზულია]
[50] წირ [გადახაზულია]
[51] და სადაცა [გადახაზულია]
[52] ეს ადგილი ძალიან დაზიანებულია და ტექსტი რთულად იკითხება.
[53] ხელნაწერი დაზიანებულია და ტექსტი დაკარგული
[54]წერია თავზე ასო - ნ
[55] ეს ადგილი ძრიერადაა დაზიანებული და ტექსტი დაკარგულია

თვითოეულსა ლიტურღიასა ზ[ედ]ა ერთსა მღუდელსა და ერთსა დიაკონსა ჴელი დავასხა: ხ[ოლო] პ[ირვე]ლ განწმედილსა ლიტურღიასა ზ[ედ]ა მხოლოდ ერთსა დიაკონსა, ვ[ითარც]ა წესი უპყრიეს წ[მიდ]ასა აღმოსავლეთისა ეკლესიისა და ვ[ითარც]ა გვაუწყებს განჩინება უწმიდესთა პატრიარქთა, და მყოფთა მათთანა არქიერთა ბერძენთა და დიდისა, და მცირისა რუსეთისათა, კ[უალა]დ მრწამს და ვგრძნობ აღსრულებასა სამღთოსა ლიტურღიასა შინა გარდაარსებისასა ჴორცისა და სისხლისა ქ[რ]ი[სტე]სსა, ვ[ითარც]ა აღმოსავლეთისა და ჩ[უე]ნისა რუსეთისა მოძღვარნი ძველნი გვასწავებენ გარდამოსლვითა და მოქმედებითა ს[ულ]ისა წ[მიდ]ისათა, მოწოდებისა მიერ არქიერისაგან გინა მღუდელისა სავედრებელთა სიტყვათა შ[ინ]ა ღ[მრთ]ისა მ[იმარ]თ მამისა: ჰყავ[56] უკვე პური ესე პატიოსნად ჴორცად ქ[რისტ]ე მისა და სხუანი. შ[ემდგომა]დ აღვსთქვამ რათა არვინ ჩ[ემ]ისა ვნებითისა ვნებითა, გინა რ[ომლ]ისამე ჩ[ე]მთანა მტერობითა, გინა ჩემთა მათ თანა[57] (205r) სახლეულითურთ გინა ერთ სახით შევაჩვენო, არცა განვეშორო სჯულთაგან[58] ეკლესიისათა, თვინიერ უკეთუ ვინმე თავი თ[ვი]სი გამოაჩინოს[59] გარდამ.....ნ დამარღვეველად მცნებათა ღ[მრთ]ისათა გინა წინააღმდეგად ეკლესიისა წვალებელად გამოჩნდების, და სიტყვათაებრ ქ[რისტ]ესთა შ[ემდგომა]დ სამგზის მხილებისა არა მორჩილ იქმნას არცა წარემართოს, და იგიცა .....[60] სახლეულით შეჩვენებული და განკვეთილ იქმნეს წ[ინააღმდეგ ....ებით სამართლით .... ვექცეოდე სიტყვისაებრ პავლე მოციქულისა ჩუენისა უ[ფლ]ისა არაჯერ არს[61] ლალვა, ა[რამე]დ რათა იყოს მყუდრო სახიერ ყ[ოველ]თა მ[იმა]რთ მსწავლელ უმანკო მშვიდობით მასწავლელ წინააღმდგომთა მათთა გო, ხ[ოლო] თუ სცეს მათ უ[ფალმა]ნ სინანული მეცნიერებად ჭ[ეშმარი]ტებისა მ[ონაზონნი დავფარო განწერსებულთა[62] მათდამი მცნებათა და კანონთაებრ, არა დაუტეო[63] იგინი მონასტრით მონასტრად მიმოვლად, არცა სახლთა საეროთა შ[ინ]ა[64], თვინიერ ჩ[უენ]ისა სათვისოსა უწყებისა, და წერილითისა ნება ყოფს, შესვლად, გარნა თუ ხვდეს სადამე საჭიროსა საჴმარობითისა სათხოვრისათ[ვი]ს, გინა სხვისა სასარგებლოსა რისთვისმე განსვლად. ეკლესიანნი უფროს საჴმარობისა ნებებელობითა ახლად არცა მე თვით აღვაშენო, და არცა სხვათა უტეო აღშენებად, რათა შ[ემდგომა]დ არა დაშთენ იგინი ცალიერ ნაკლულევანებისათ[ვი]ს საჴმართაცა. ეგრეთვე მღუდელნი და დიაკონნი, და სხვანი საეკლესიონი მსახურნი უფროს ჯეროვანისა საჴმარობისა, საძაგელისა რგებისათ[ვი]ს არც განვამრავლე, არც მემკვიდრეობისათ[ვი]ს დავადგინნე: ა[რამე]დ მწყსად ერისა, და ჭ[ეშმარი]ტისა საჴმარებისათ[ვი]ს წ[მიდ]ისა ეკლესიისა.

კ[უალა]დ აღვთქვამ მონიჭებულისა ჩემდა აწ ყოვლისა სამწყსოსა ყ[ოვე]ლთა წელთა უკეთუ ძალმიცს, ხ[ოლო] უკანასკნელისა საზომისაებრ ორთა გინა სამთა წელთა, თჳით, წესისაებრ მოციქულთა მოვლად, და ზ[ედ]ა მოხედვად ხ[ოლო] მიმოვლად არამექრთამეობისათ[ვი]ს და პატიჟისა, ა[რამე]დ მოციქულებრ და უ[ფლ]ისა მ[იე]რ: ვ[ითა]რ იმყოფებიან მორწმუნენი სარწმუნოებასა შ[ინ]ა, და წარმართებასა შ[ინ]ა საქმეთა კეთილთა, და უმეტეს მღუდელნი. და გამოვიძიებდე მათ შ[ორი]ს გულსმოდგინებითა, ვასწავებდე, და ვაყენებდე, რათა მათ შ[ორი]ს[65] განთხეთქანი, ცრუ სარწმუნოებანი, და

[56] რაც შესცვალე (გადახაზულია)
[57] შინაგან [გადახაზულია]
[58] დაზიანებულია
[59] ცხადყოს
[60] ამოხეულია
[61] მონისა უფლისა [გადახაზულია]
[62] ჩინ (გადახაზულია)
[63] დამტევებელნი
[64] მრავლად
[65] რასკოლი

ღ[მრ]თივ საძაგელნი პატივცემანი არაიყოფებოდენ: რათა უცნობთა და (205v) .....წ[მიდ]ისგან ჯერეთ არა წამებულთა საფლავთა წ[მიდ]ად[66] არა პატივს სცემდე ჭარისევლობითა გაცობებულთა შეთვლილის თმითა, ფეჴშიშველად და უპერანგოდ სიტყვითა განვსწავლიდე, ა[რამე]დ სამოქალაქოთა [მათ ... და სხვანიცა][67] სახეთა ქვეშე მარლმადიდებლობითა [მათთა ...ფრე...][68] საქმეთა არცა სამღთოთა, და არცა საეროთა წესთაგან მიღებულ[69] იქმნენ. დაყენებად ვლენიდე[70], რათა წ[მიდ]ათა ხატთა არა ღ[მერ]თ ჰყოფდენ, და მათთ[ჳ]ს ცრუთა სასწაულთა არამოიზღპრებდენ, რათა მით არა იქმნას შერევნა ჭ[ეშმარი]ტის, მართლმადიდებლობისა და წინააღმდეგთა არამიეცეს მიზეზი ყველრებად მართლმადიდებელთა: ა[რამე]დ რათა პატივსსცემდე მათ გონებისაებრ წ[მიდ]ისა მართლმადიდებელისა კათოლიკე ეკლესიისა, ვ[ითა]რიცა დაისახა განსაზღვრებასა შინა წ[მიდ]ისა მსოფლიოსა მეორესა კრებასა ნიკიისასა. მსოფლიოთა შ[ინ]ა საქმეთა და წესთა არა შევიდე არა რ[ომე]ლითამე მიზეზითა, გარნათუ რამე ცხადი უსამართლობა გამოჩნდეს: მისთ[ჳ]ს პ[ირველა]დ ვამხილო, და შ[ემდგომა]დ მივსწერო <u>მათს იმპერატორობის დიდებულებასა</u> ეს ვ[ი]თართათ[ჳ]ს მოციქულისაებრ შეწევნად უძლურთა. გარნა მოკლითა სიტყვითა დამატკიცებელი, აღვსთქვამ, და თანამდებად თავსა ჩ[ე]მსა აღვიარებ, დამარხვად უცვალებელად ყ[ოველ]თა წინა დადებულთა განწესებასა შინა უწმიდესისა მმართებულისა ს[რულია]დ რუსეთისა სინოდისას, და სინოდისა სიგელისაებრ, ვ[ითა]რიცა მე მის უწმიდესისა სინოდისაგან მონიჭებულისა მმართებლობისათ[ჳ]ს მომეცემის, და შეუდგე სხვათაცა ბრძანებათა, და განწესებათა, უკეთუ ვიეთნიმე მერმეღა თანა ჴმობითა მის უწმიდესისა სინოდისა, და სათნო ყოფითა <u>მათის იმპერატორობის დიდებულებისა</u> განწესებადთა:[71] რ[ომელ]თაებრ ვიღაწოთ ბრძანებულისა გულისმოდგინედ ყ[ოვლ]ითა მორჩილებითა აღასრულებად, მომძიებელი მ[არა]დის თვით ჭ[ეშმარი]ტებისა, და თვით სრულისა სიმართლისა. ბ[ოლო] ყ[ოველ]ი ესე ვიმოქმედო სინიდისაებრ ჩ[ემ]ისა, თვინიერ თვალღების მონებისა (206r), თჳინიერ[72] მტერობისა, შურისა, თვითსჯულობისა, სჯულობისა[73] და მექრთამეობითა უძლურებითა, და მოკლედ არცა ერთითა ვნებითა ტყვე ქმნილიმან, ა[ამე]დ შიშითა ღ[მრთ]ისათა მ[არა]დის მქონებელი გონებასა შ[ინ]ა უმსჯავროსა სასჯელისა მისისა ჭ[ეშმარი[ტ]ებ]ითა ღ[მრთ]ისა და მოყუსისა სიყვარულითა, მიზეზად უკანასკნელად ყ[ოველ]თა ზრახვათა, სიტყვათა, და მოქმედებათა ჩემთა ეპყრა დიდება ღ[მრ]თისა და ცხოვრება სულთა კაცთასა, და ყოვლითურთ[74] ეკლესიისა აღშენება, არა მეძიებელმან რაოდენნიცა ჩემნი არიან, ა[რამე]დ რაოდენნიცა უფლისა იესოსნი. კუალად ვფუცავ ღ[მერ]თსა ცხოველსა რ[ამეთუ] მ[არა]დის მომხსენებელი საშინელისა სიტყვისა მისისა წყეულ არს ყ[ოველ]ი მოქმედი ღ[მრთ]ისა საქმისა შეურაცხებით, ყ[ოველ]თა[75] საქმეთა შინა ამა წოდებისათა, ვ[ითარც]ა საქმეთა შ[ინ]ა ღ[მრთ]ისათა ვიდოდე თვინიერ უდებებისა, ყ[ოვლ]ითა გულსმოდგინებითა დასასრულადმდე ძალისა ჩ[ემ]ისა, და არა ვიჩემო უმეცრება, ა[რამე]დ უკეთუ უმეცრებაცა რისამე ჩემ შ[ორი]ს იპოოს ყ[ოვლ]ით კერძო ვიღვაწო ძიება შეგონებისა და ცნობისა საღმთოთაგან წერილთა, და საკრებოთა კანონთაგან, და

[66] სიწ[იდ]ად - სი გადახაზულია
[67] ეს ადგილი ძლიერადაა დაზიანებული და ტექსტი რთულად იკითხება
[68] ეს ადგილი ძლიერადაა დაზიანებული და ტექსტი რთულად იკითხება
[69] მიიღებდე
[70] დაყენებად ვლეწავდე
[71] განწესებულთა [გადახაზულია]
[72] უძლურებისა (გადახაზულია)
[73] მტერობითა (გადახაზულია)
[74] ს˜დ (სრულიად გადახაზულია)
[75] ამ (გადახაზულია)

ერთჴმობისაგან ძველთა დიდთა მოძღვართასა. ბ[ოლო] უკეთუ[76] ჩემ მიერ აქა აღთქმულთა რ[ომე]ლთამე გარდავჴდე, გინა სამღთოთა კანონთა, და წესსა აღმოსავლეთისა მართლმადიდებელისა ეკლესიისა და უწმიდესისა მმართებელისა სრულიად რუსეთისა წ[მიდ]ისა სინოდისა გამოჩნდე ურჩ გინა წინააღმდეგ განთვისებით ვინებო განდგომა, და ეპარხია ჩემდა რწმუნებული რაიმე სახითა უწმიდესისა მართებელისა სრულიად რუსეთისა სინოდისა რასამე შ[ინ]ა ურჩ ვიყო, მაშინღა განკვეთილ ვიქმნე ყ[ოვლ]ისა ჴელმწიფებისა და ხარისხისა ჩემისაგან თვინირ ყ[ოვლ]ისა შემასმენელობისმა, და სიტყვისა, და უცხო ვიქმნა ნიჭისა ზეციერისა რ[ომელი] კურთხევასა შინა ჴელდასხმით მომეცა მე ს[ულ]ისა მ[იე]რ წ[მიდის]ა. კ/უალა]დ ვფუცავ ყოვლისა მხედველსა ღმერთსა, რამეთუ ყ[ოველ]სა ამას ... აღთქმულსა არა სხვაფერ გონებასა შ[ინ]ა ვთარგმნი[77] ვ[ითარც]ა წარმოვთქუამ ... ძალითა და გონებითა ვითარსაცა ძალსა და გონებასა აქა წერილნი სიტყვანი მკითხველთა და მსმენელთა ცხად უყოფენ ჴ[ოლო] ყოველთა ამათ თანა თანამდებ ვარ ვ[ითა]რცა დღეს[78] სიტვითა აღვქუი[79], ეგრეთვე საქმისაცა უკა(206v)ნასკნელად აღმოფშვინვადმდე მომავალთათ[ჳ]ს კეთილთა აღსრულებად ვამტკიცებ ფიცითა ჩემითა: იყოს ჩემდა გულისა განმხილველი ღ[მერ]თი აღთქმისა ჩემისა მოწამე, რ[ამეთუ] უტყუარ არს, ხ[ოლო] უკეთუ ცრუ არს, და არა სინიდისაებრ ჩ[ემ]ისა იყოს იგივე ჩემდა მართლ მსაჯული მომგებელ. თ[ანა მდებვარ მე, და მნებავს მე, რათა ესე ჭ[ეშმარი]ტებით დავიცვა, რაოდენცა მე ყ[ოვლა]დ ძლიერი ყ[ოველ]ი ღ[მერ]თი სულიერად, და ჴორციელად შემწე მექმნეს, ბ[ოლო] აღსასრულად ამა ჩ[ემ]ისა ფიცისა ამბორს უყოფ სიტყვასა და ჯვარსა მაცხოვრისა ჩემისას ამინ.

მე ქვემო ხსენებული მათის იმპერატორობის დიდებულ... წმიდა სინოდი. (მიხეილ ქავთარიას აზრით „ეს ბოლო ფრაზა შეიძლება ანტონს არ ეკუთვნის“).

გამოყენებული ლიტერატურა

ავალიანი, ს. (1987). ანტონ პირველი (ბაგრატიონი), ცხოვრება, მოღვაწეობა და ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. თბ. გამომცემლობა „მეცნიერება“.

ანტონ კათალიკოსი, (1892). მზამეტყველება, გამოცემულია ალ.ეპისკოპოსის საფასით და მღ. კარბელოვის რედაქტორობით, თბ. სტამბა ე. ხელაძისა, საპ. ქუჩ. საკ. სახ.

ანტონ კათალიკოსი, (1853). წყობილ-სიტყუაობა გამოცემულია პლატონ იოსელიანის რედაქტორობით, თბ. დაბეჭდილი ქ. თფილისს სტამბასა შინა კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიისსა.

კეკელიძე, კ (1980). ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, თბ. გამომცემლობა „მეცნიერება“.

კოჭლამაზაშვილი, ექ., ღამბაშიძე, ა. (1999). ათანასე ალექსანდრიელის „სიმბოლოს“ ძველი ქართული თარგმანი. მრავალთავი. ტ. XVIII. გვ. 153-163.

თამარაშვილი, მ. (1902). ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის,. თბ.

[76] აქა [გადახაზულია]
[77] ად [გადახაზულია]
[78] აწ [გადახაზულია]
[79] ანტონი უ-ს ნაცვლად ხმარობს ე.წ უ უბრჯგუს

კარბელაშვილი. პ (1900). იერარქია საქართველოს ეკლესიისა კათალიკოსნი და მღვდელ-მთავარნი, შედგენილი პ. კარბელაშვილის მიერ, ტფ.

მეგენეიშვილი, ნ. (2024). XVIII საუკუნის ოთხი ტრაქტატი კათოლიციზმის შესახებ ქართულ სამწერობლო ტრადიციაში, თბ. გამომცემლობა „მერიდიანი“.

პაპაშვილი, მ. (1995). საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX ს.ს., თბ.

ქავთარია, მ. (1977). XVIII ს. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან (ანტონ ბაგრატიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობა), თბ. გამომცემლობა „განათლება“.

ქავთარია, მ. (1977). ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან XVII-XVIII ს.ს., თბ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ქავთარია, მ. (1965). დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბ. გამომცემლობა „მეცნიერება“.

A ფონდის აღწერილობა. (1955). ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციის. ტ. V. ალ. ბარამიძის რედაქციით. თბ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

S ფონდის აღწერილობა. (1959). ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (S) კოლექციის. ტ. I. ელ მეტრეველის რედაქციით. თბ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

S ფონდის აღწერილობა. (1965). ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (S) კოლექციის. ტ. IV. ელ მეტრეველის რედაქციით. თბ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

გამოყენებული ხელნაწერები

H-1334 [ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში]

A-627 [ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში]

S-251 [ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში]

REFERENCES

avaliani, s. (1987). ant'on p'irveli (bagrat'ioni), tskhovreba, moghvats'eoba da pilosopiuri msoplmkhedveloba. tb. gamomtsemloba „metsniereba“.

ant'on k'atalik'osi, (1892). mzamet'qveleba, gamotsemulia al.ep'isk'op'osis sapasit da mgh. k'arbelovis redakt'orobit, tb. st'amba e. kheladzisa, sap'. kuch. sak'. sakh.

ant'on k'atalik'osi, (1853). ts'qobil-sit'quaoba gamotsemulia p'lat'on ioselianis redakt'orobit, tb. dabech'dili k. tpiliss st'ambasa shina k'avk'asiis namest'nik'is k'antselariissa.

k'ek'elidze, k' (1980). kartuli lit'erat'uris ist'oria. t'. I, tb. gamomtsemloba „metsniereba“.

k'och'lamazashvili, ek., ghambashidze, a. (1999). atanase aleksandrielis „simbolos“ dzveli kartuli targmani. mravaltavi. t'. XVIII. gv. 153-163.

tamarashvili, m. (1902). ist'oria k'atolik'obisa kartvelta shoris,. tb.

k'arbelashvili. p' (1900). ierarkia sakartvelos ek'lesiisa k'atalik'osni da mghvdel-mtavarni, shedgenili p'. k'arbelashvilis mier, t'p.

megeneishvili, n. (2024). XVIII sauk'unis otkhi t'rakt'at'i k'atolitsizmis shesakheb kartul samts'eroblo t'raditsiashi, tb. gamomtsemloba „meridiani“.

p'ap'ashvili, m. (1995). sakartvelo-romis urtiertoba VI-XX s.s., tb.

kavtaria, m. (1977). XVIII s. kartuli sazogadoebrivi azrovnebis ist'oriidan (ant'on bagrat'ionis ep'ist'olaruli memk'vidreoba), tb. gamomtsemloba „ganatleba“.

kavtaria, m. (1977). dzveli kartuli p'oeziis ist'oriidan XVII-XVIII s.s., tb. gamomtsemloba „sabch'ota sakartvelo“.

kavtaria, m. (1965). davit garejis lit'erat'uruli sk'ola, tb. gamomtsemloba „metsniereba“.

A pondis aghts'eriloba. (1955). kartul khelnats'erta aghts'eriloba, qopili saek'lesio muzeumis (A) k'olektsiis. t'. V. al. baramidzis redaktsiit. tb. sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba.

S pondis aghts'eriloba. (1959). kartul khelnats'erta aghts'eriloba, qopili saek'lesio muzeumis (S) k'olektsiis. t'. I. el met'revelis redaktsiit. tb. sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba.


S pondis aghts'eriloba. (1965). kartul khelnats'erta aghts'eriloba, qopili saek'lesio muzeumis (S) k'olektsiis. t'. IV. el met'revelis redaktsiit. tb. sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba.

Manuscripts used

H-1334 [khelnats'eri datsulia khelnats'erta erovnuli tsent'rshi]

A-627 [khelnats'eri datsulia khelnats'erta erovnuli tsent'rshi]

S-251 [khelnats'eri datsulia khelnats'erta erovnuli tsent'rshi]



H 1334, 203r